

ოთარ ხორგუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:
„მტკიცებულებების გამოყენება სისხლის სამართლის
პროცესში საქართველოსა და უცხო ქვეყნებში“

2018 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს „მტკიცებულებების მოპოვება და დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში“. 2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სრულიად ახლებურად დარეგულირდა მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის წესი საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნულის თანახმად, მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობა მხარეთა საპროცესო უფლებათა, რომელიც თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულების მოპოვებასა და დაუშვებლობას გარკვეული საფუძვლებით, ადგენს მათი კანონიერების შემოწმების სტანდარტს, რაც მნიშვნელოვანი პროცესუალური გარანტიაა მხარეებისთვის. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირებისა, საპროცესო ნორმები, იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა ზოგ შემთხვევაში განსხვავებული და პრობლემატურია, არ იძლევა ერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობას და საჭიროა საკანონმდებლო ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის შეჯერების საფუძველზე მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთება. სწორედ აღნიშნული საფუძვლით, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის საკითხის განხილვა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზი, აკადემიური კომენტარების, სტატიების/ნაშრომების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის კვლევების, ანგარიშებისა და რეკომენდაციების განხილვა, ასევე საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი განსახილველ საკითხთან მიმართებით.

სარჩევი:

გამოყენებული აბრევიატურა	iv
შესავალი.....	1
თავი I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და იურიდიული ლიტერატურის ანალიზი მტკიცებულებათა ცნებასა და სახეებზე	2
1.1. მხარეთა შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში	2
1.2. მოსამართლის როლი მტკიცებულებების მოპოვებისა და დასაშვებობის ეტაპზე	5
1.3. მტკიცებულებათა ცნება და სახეები	7
1.3.1. ბრალდებულის ჩვენება.....	10
1.3.2. მოწმის ჩვენება	12
1.3.3. ირიბი ჩვენება.....	15
1.3.4. ნივთიერი მტკიცებულება.....	18
1.3.5. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება.....	19
1.3.6. პრეიუდიცია.....	20
1.3.7. ფარული საგამომიებო მოქმედებები.....	21
1.3.8. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებები ..	23
თავი II. მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში.....	24
2.1. მტკიცებულებათა მოპოვება.....	25
2.2. მტკიცებულებათა გაცვლა	28
2.3. მტკიცებულებათა დასაშვებობა	30
თავი III. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის კვლევებისა და ანგარიშების ანალიზი	42
თავი IV. საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი	54
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა	67

გამოყენებული აბრევიატურა

- სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
საპროცესო კოდექსი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
კანონი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
ასკ - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
სსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
ა.შ. - ასე შემდეგ;
ე.წ. - ეგრეთ წოდებული;
ე.ი. - ესე იგი;
იხ. - იხილეთ;
სხვ. - სხვა;
საკონსტიტუციო სასამართლო - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
თბ. - თბილისი;
წ. - წელი;
მუხ. - მუხლი;
ნაწ. - ნაწილი;
გამომც. - გამომცემლობა;
პროფ. - პროფესორი;
ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
იხ. - იხილეთ;
სქ. - სქოლიო;
მაგ. - მაგალითად.

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მტკიცებულებათა სტანდარტის არსებობა - კანონის შესაბამისად მოპოვებული საქმის რელევანტური გარემოებები და გამოკვლეული მტკიცებულებები. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა შეჯიბრებით პროცესში მხარეთა კომპეტენციაა. აღნიშნული უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეიცვალა და შეიზღო 2009 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. სისტემა გახდა მთლიანად შეჯიბრებითი და მხარეთა თანასწორუფლებიანობას მიენიჭა მეტი პრივილეგია. აღნიშნულმა რეფორმამ შეხვდა ბევრ გამოწვევას. დღემდე განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება და სასამართლო პრაქტიკაც არ არის ერთგვაროვნად ჩამოყალიბებული. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს როგორც საკანონმდებლო ნორმების ბუნდოვანება, რაც არაერთხელ გამხდარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, ასევე, აკადემიური კომენტარებისა თუ იურიდიული ლიტერატურის ნაკლებობა, რაც სასამართლოს დაეხმარებოდა შესაბამისი განმარტებების გაკეთებაში.

მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებით ბოლო წლებში ჩატარდა რამდენიმე კვლევა და ასევე, მომზადდა არაერთი ანგარიში, რომელთა მიზანსაც საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრა წარმოადგენდა. ტექნოლოგიების ყოველდღიურად განვითარების შედეგად, საჭირო გახდა ახალი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომის მომზადებისას შევისწავლე იურიდიული ლიტერატურა, აკადემიური სტატიები, შესაბამისი კვლევები და ანგარიშები, სხვადასხვა ორგანიზაციების დასკვნები, რეკომენდაციები და სასამართლო პრაქტიკა.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ნაშრომის მიზნებისათვის, გამოყენებულ იქნა კვლევის ნორმატიული, სისტემური, შედარებითი და ლოგიკური მეთოდოლოგია, ასევე, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდი. დასამუშავებელი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან, როგორებიცაა ინტერნეტ რესურსი, ბიბლიოთეკა და სასამართლოები.

საბოლოოდ, ნაშრომის მომზადების შედეგად შესაძლებელი გახდა იმ საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, რაც სასამართლო პრაქტიკას და მართლმსაჯულებას არაერთგვაროვანს ხდის.

თავი I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და იურიდიული ლიტერატურის ანალიზი მტკიცებულებათა ცნებასა და სახეებზე

მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის საფუძვლებისა თუ სტანდარტების განხილვისას მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის¹ საკანონმდებლო რეგულირება და მისი აკადემიური კომენტარები. საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია 2009 წელს იქნა მიღებული, ხოლო ძალაში შევიდა 2010 წელს. მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის წესებს სსსკ-ში ცალკე თავი აქვს დათმობილი და გამოყოფილია მტკიცებულებათა ცნება, მისი სახეები, მოპოვების საშუალებები, დასაშვებობის წინაპირობები, შეფასების კრიტერიუმები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. გამომდინარე იქიდან, რომ საპროცესო კოდექსი მთლიანად შეჯიბრებით პრინციპზეა აგებული, უშუალოდ მტკიცებულებათა მოპოვება-დასაშვებობის საკითხის განხილვამდე, მნიშვნელოვანია მხარეთა როლის განსაზღვრა და შეჯიბრებითობის მიმოხილვა მტკიცებულებებთან მიმართებით.

1.1. მხარეთა შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში

შეჯიბრებითობის პრინციპი პირველად საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა² გაიზიარა და ამის თაობაზე კოდექსის მე-15 მუხლშია საუბარი. მას შემდეგ არაერთი ცვლილება შევიდა ამ მიმართულებით კანონმდებლობაში და დღეს მოქმედი 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბერს შევიდა, წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული. სსსკ-ის მე-9 მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების თავშია, მხარეთა თანასწორობასა და

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 09.10.2009 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>; ბოლოს ნანახია: 21.05.2018 წ.

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 20.02.1998 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882?publication=0>; ბოლოს ნანახია: 21.05.2018 წ.

შეჯიბრებითობას ეხება. აღნიშნული მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე,“³ რაც გულისხმობს იმას, რომ „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“⁴ კანონმდებლის მიერ სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილში განმარტებულია, თუ ვინ მიიჩნევა პროცესში მხარედ. მუხლის მიხედვით, მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი და პროკურორი, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა საქმის წარმოების პროცესში გამოიხატება იმით, რომ პროცესში მხარეები და მათში მონაწილე პირები თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი და თანაბარი შესაძლებლობები აქვთ თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოიყენონ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური საშუალებები. სასამართლოში მხარეების ასეთი თანასწორუფლებიანობა გამოიხატება მათ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ მდგომარეობაში. მათ უფლება აქვთ სასამართლომდელ გამოძიებასა და თვით სასამართლოში თავიანთი ინტერესების დასაცავად მათთვის საჭირო საკითხის გასარკვევად აღძრან შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე; სასამართლოს ან მის რომელიმე წევრს მისცენ აცილება და სხვა.⁵ მხარეთა შეჯიბრებითობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს სსსკ-ის 25-ე მუხლიც, რომლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, „სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა“,⁶ ხოლო მეორე ნაწილი ფაქტობრივად იძლევა დამატებით გარანტიებს, როდესაც ამბობს, რომ „სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.“⁷

³ იხ. სქოლიო N1, მუხ. 9, ნაწ. 1.

⁴ იხ. სქოლიო N1, მუხ. 9, ნაწ. 2.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ.გახოკიძის, მ.მამნიამვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 84.

⁶ იხ. სქოლიო N1, მუხ. 25, ნაწ. 1.

⁷ იხ. სქოლიო N1, მუხ. 25, ნაწ. 2.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სსსკ-ის მე-9 მუხლის მიზანია, „სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა მხარეებისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებისა და ფუნქციითა გამიჯნვის გზით.“⁸ თუმცა, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უკეთ წარმოსაჩენად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად, დავით ბენიძე თავის ნაშრომში მიუთითებს სსსკ-ის მე-9 და 25-ე მუხლების სხვაგვარად ჩამოყალიბების თაობაზე, რომლითაც გამოიყოფა ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები და განსაზღვრული იქნება ვის ეკისრება ბრალდების ფუნქცია და ვის აქვს დაცვის უფლება.⁹

შეჯიბრებითობის განმარტებას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ „შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას ”იყოს მოსმენილი“. შესაბამისად, შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას, გაეცნოს, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მასალებთან, შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით.“¹⁰ ამდენად, ავტორთა მოსაზრებით, შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკევება;
- შეჯიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.¹¹

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“ რედაქტორობით, 2015, გვ. 84, §1.

⁹ ბენიძე, დ., „შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, სამეცნიერო შრომების კრებული 2010, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნაშრომი ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik-00-1-0-10-0---0---0prompt-10--.-4-----0-0l-11-en-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.4>)

¹⁰ იხ. სქოლიო N8, გვ. 84; §4.

¹¹ იხ. სქოლიო N8, გვ. 84-85, §5.

1.2. მოსამართლის როლი მტკიცებულებების მოპოვებისა და დასაშვებობის ეტაპზე

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოსამართლის როლი ძალიან შევიწროვდა. როგორც წინა თავში უკვე აღვნიშნე, სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. „მხარეებისაგან განსხვავებით, მოსამართლის ამოცანას არ წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება. უფრო მეტიც, მას აღნიშნული კანონით ეკრძალება.“¹² „მხოლოდ მხარეები არიან უფლებამოსილი მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მათი სასარგებლო მტკიცებულებები. მხარეები განსაზღვრავენ მათ მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა თანმიმდევრობას და თავად არიან უფლებამოსილი უარი თქვან ამა თუ იმ მტკიცებულების წარდგენასა და გამოკვლევაზე. მხარეები პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის გზით აწარმოებენ ასევე მოწმეთა დაკითხვას.“¹³ „მოსამართლის როლი პროცესის განმავლობაში განსაზღვრულია როგორც „მიუკერძოებელი არბიტრისა“, რომელსაც ევალება, შეძლებისდაგვარად, ზედმიწევნით კარგად დაიცვას სიმშვიდე და სიწყნარე სასამართლო სხდომის დარბაზში, რომ მხარეებმა შეძლონ მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებათა წარმოდგენა; მას არა აქვს უფლება, დამატებით მოითხოვოს რომელიმე მტკიცებულების გამოკვლევა ან მოძიება, დაინტერესების შემთხვევაში შეუძლია მოწმეს დაუსვას მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე მხარეებმა თანხმობა განუცხადეს.“¹⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით თავის ნაშრომში პროფ. დავით ბენიძე ამბობს, რომ კანონმდებლის მიერ მსგავსი სიფრთხილის გამოჩენა დაუშვებელია; ასეთი შეზღუდვის დაწესებით, პირიქით, სასამართლოს ხელი ეშლება დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაში. მოცემულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვების დასმაზე, რომლებიც შეიძლება მოსამართლეს ჰქონდეს მხარეთა შეკითხვების ამოწურვის შემდეგ. თუ მოსამართლეს, რომელმაც უნდა დაადგინოს განაჩენი, წავართმევთ იმის უფლებას, რომ დამაზუსტებელი შეკითხვა დასვას ისე, რომ მხარეებს არ სთხოვოს ამის ნებართვა, მას იმავდროულად იმის უფლებას წავართმევთ, რომ თავისი შინაგანი რწმენით

¹² თუმანიშვილი. გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2014, გვ. 226.

¹³ იხ. სქ. N8, გვ. 149, §3.

¹⁴ ჩაკვეტაძე. გ., „მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (დამოუკიდებელი არბიტრი თუ სამართლიანი მსაჯული)“; ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“ N1(2); თბ. 2014; გვ. 32.

მიიღოს გადაწყვეტილება.¹⁵ თუმცა, წარმოდგენილ მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან სხვა ავტორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ „მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, არ გამოიჩინონ ფაქტი, მტკიცებულება, დაუსვან მოწმეს სათანადო კითხვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სასამართლო, მაგრამ როდესაც ისინი ამას ვერ ახერხებენ და რჩება რაიმე გაურკვეველი გარემოება, ამოქმედდება მოსამართლის უფლებამოსილება, მაგრამ მისი განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარეთა თანხმობაზეა დამოკიდებული.“¹⁶

საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებებს. უშუალოდ მტკიცებულებათა მოპოვების საკითხები გაშლილია სხვადასხვა მუხლებში, ხოლო დასაშვებობის ნაწილს განიხილავს სსსკ-ის 219-ე მუხლი. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე და როგორ მოიპოვებს მტკიცებულებას, მის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო და მხოლოდ ის ცნობს მას დასაშვებად ან დაუშვებლად. „ერთი მხრივ, მოსამართლე ძალზე სახარბიელო მდგომარეობაშია, რადგანაც თავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა ბედს, რომელთა საფუძველზეც მოუწევს საქმის არსებითი განხილვა, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი წინასწარ შეზღუდულია მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტაში. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსამართლისათვის წარდგენილი მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს მათი მოპოვების საშუალებათა შეფასებით – მისთვის მტკიცებულებათა დასაშვებობა-არდასაშვებობის საკითხში მთავარი საზომი ისაა, განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულება პროცესუალური ნორმის დარღვევითაა მოპოვებული, თუ არა.“¹⁷ შესაბამისად, მოსამართლე მხოლოდ ზედაპირულად ამოწმებს მტკიცებულების დასაშვებობას და ვერ შედის მისი შინაარსის თუ რელევანტურობის განხილვის ნაწილში, რასაც შემდგომ უკვე არსებითი განხილვის მოსამართლე აკეთებს იმისათვის, რომ განაჩენი იყოს დასაბუთებული და გამოტანილი იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დასაშვები, რელევანტური და უტყუარია განსახილველ საქმესთან მიმართებით.

სსსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, „არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის

¹⁵ იხ. სქ. N9.

¹⁶ ქისტაური ქ., ინკვიზიციიდან შეჯიბრებითობამდე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(33)'12, გვ. 89.

¹⁷ იხ. სქ. N12. გვ. 33.

სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.¹⁸ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს,¹⁹ ხოლო მე-5 ნაწილით, „მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო.“²⁰ აქედან გამომდინარე, ერთი მხარე აყენებს თავის მტკიცებულებების დასაშვებობისა და მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის შუამდგომლობას. საქმე მარტივადაა, როდესაც დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობას არ ეწინააღმდეგება მტკიცებულების მომპოვებელი მხარე, მაგრამ „როცა მოწინააღმდეგე მხარე სადაოდ ხდის მტკიცებულების ამოღების შუამდგომლობას, მაშინ საკითხი მისი დასაშვებობის შესახებ ხდება მტკიცების საგანი.“²¹ რაც შეეხება მოსამართლის როლს, „მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ამ ეტაპზე შეზღუდულია მხოლოდ მისი დასაშვებობის საკითხთა განხილვით და გამოკვლევით...“²²

შესაბამისად, „მოსამართლის როლი გამოიხატება იმაში, რომ ის ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანასწორი პირობები მტკიცებულებების მოსაპოვებლად და წარსადგენად,²³ შემდეგ კი შეაფასოს მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება და საქმესთან შემხებლობა, რათა საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ თუ ნაფიცმა მსაჯულებმა თავიანთი გადწყვეტილება მიიღონ სანდო და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

1.3. მტკიცებულებათა ცნება და სახეები

სისხლის სამართლის პროცესში, შეჯიბრებითი სისტემიდან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებს. მხარეები სწორედ მტკიცებულებებზე აყრდნობენ თავიანთ პოზიციებს და ცდილობენ სასამართლოს წინაშე დაამტკიცონ პოზიციების სისწორე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზუსტად იყოს განსაზღვრული თუ რა არის მტკიცებულება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი განმარტავს მტკიცებულების ცნებას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მტკიცებულება ეს არის კანონით დადგენილი წესით

¹⁸ იხ. სქ. N1; მუხ. 72, ნაწ. 1-ლი.

¹⁹ იხ. სქ. N1; მუხ. 72, ნაწ. მე-3.

²⁰ იხ. სქ. N1; მუხ. 72, ნაწ. მე-5.

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი; ჯ.გახოკიძის, მ.მამნიავილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ. 2012, გვ. 263.

²² იხ. სქ. N21, გვ. 264.

²³ იხ. სქ. N12, გვ. 226.

სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. აქვე კანონი ცალკე ხაზს უსვამს დოკუმენტის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას და ამბობს, რომ დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სსსკ-ის მე-100 მუხლის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია გამოძიების დაწყების საფუძველია, ხოლო მე-13 მუხლის თანახმად, მტკიცებულებას არ აქვს წინასწარი დადგენილი ძალა და ნებისმიერ ინფორმაციას მტკიცებულების ძალა ენიჭება მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ. ერთი შეხედვით კანონი განმარტავს თუ რა შეიძლება იყოს ასეთი ინფორმაცია, თუმცა როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკაში ძალიან ხშირია პრობლემები მისი ცნების განმარტებასთან დაკავშირებით. „მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე პროფესორი მ.ს. სტროგოვიჩი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - საბჭოთა სისხლის საპროცესო სამართლის კურსის სახელმძღვანელოში მტკიცებულებად მიიჩნევდა კანონით გათვალისწინებულ ყველა იმ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც პროცესუალური ფორმით ადგენს ან უარყოფს დანაშაულებრივ შემთხვევას, ამხელს ან ამართლებს პასუხისგებაში მიცემულ პირს და ადგენს მათი პასუხისმგებლობის ხარისხს.“²⁴ პროფ. ხარაზიშვილი კი თავის ნაშრომში დამამტკიცებელ საბუთებად მიიჩნევდა ყოველგვარ ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულ იქნებოდა სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად და რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტების ჭეშმარიტების მიღწევა.²⁵ იურიდიული ლიტერატურის ავტორები საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით არსებულ ცნებას ადარებენ საბჭოთა კავშირის დროინდელ საპროცესო

²⁴ იხ. სქ. N5, გვ. 230-231.

²⁵ იხ. სქ. N5, გვ. 232.

კოდექსით განსაზღვრულ ცნებას, ნორმას, რომელშიც ჩამოთვლილი იყო კონკრეტულად მტკიცებულებათა სახეები. ისინი უფრო მეტად ჩამოყალიბებულად და ლიბერალურად მიიჩნევენ მოქმედ რედაქციას, თუმცა, ამავე დროს, არასრულყოფილადაც. აქვე განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულება მხოლოდ სასამართლოსთვის წარდგენილი ინფორმაციაა. ავტორები ხაზს უსვამენ სასამართლოს იმ უფლებამოსილებას, რომელიც მხოლოდ მას გააჩნია და ინფორმაციისთვის მტკიცებულების ძალის მინიჭებაში გამოიხატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა მთავარია დაიცვან კანონით დადგენილი წესები და მათი დაცვით მოიპოვონ მათთვის ხელსაყრელი ინფორმაცია.²⁶ ანალოგიურ პრობლემას აყენებს სიფა თავის კვლევაში და მიზანშეწონილად მიიჩნევს მტკიცებულების ცნების შეცვლასა და მტკიცებულებებისა და საპროცესო დოკუმენტების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, რაც მხარეებს შესაძლებლობას მისცემს იდაონ მათ დამოუკიდებლად დაუშვებლობაზე სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლებით.²⁷

იქიდან გამომდინარე, რომ კანონში მოცემული მტკიცებულების ცნება მაინც არ არის სრულყოფილი და ბადებს კითხვებს, ბოლო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე კვლევა, სადაც განხილულია სასამართლო პრაქტიკა და პრაქტიკოს იურისტებთან ჩატარებულია ინტერვიუები. აღნიშნულ კვლევებში აშკარად იკვეთება ერთი პრობლემა, რამდენად უნდა მიიჩნეოდეს მტკიცებულებებად ე.წ. საპროცესო დოკუმენტები, მაგ. დაკავების ოქმი, ბრალდების შესახებ დადგენილება და სხვა, რომლებიც ადასტურებს ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავს მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად განმარტავს და იყენებს კანონით მინიჭებულ თავიანთ უფლებამოსილებებს ამ საპროცესო დოკუმენტთა დაუშვებლად ცნობისა და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.²⁸

²⁶ იხ. სკ. N8, გვ. 37 § 33.

²⁷ „მხარეთა შეჯიბრებითობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერება მტკიცებულებათა მოპოვების, წარდგენისა და გამოკვლევის პროცესში“, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, თბ. 2018, გვ. 7.

²⁸ „მტკიცებულებების წესები სისხლის სამართლის პროცესში“, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი 2016 წ. გვ 16.

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის, განვიხილოთ მტკიცებულებების სახეები ცალ-ცალკე, რომლებიც იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოჩენილი. თავდაპირველად მტკიცებულებების კლასიფიკაცია ხდებოდა წარმომავლობის მიხედვით - პიროვნულ და ნივთიერ მტკიცებულებებად. პროცესუალისტთა მეორე ნაწილი კი მტკიცებულებებს სამ ძირითად სახედ ყოფს:

- გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებებად;
- პირდაპირ და ნაწარმოებ მტკიცებულებებად;
- პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებებად.²⁹

დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსი ასეთი თვალსაზრისით მტკიცებულებათა მხოლოდ ორ სახეს უსვამს ხაზს: პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები, რაც განისაზღვრება მათი მოპოვების საშუალებების, წყაროს, წარმომავლობის, მნიშვნელობისა და საქმესთან შემხებლობის მიხედვით.

1.3.1. ბრალდებულის ჩვენება

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს როგორც აქტიურ სუბიექტს, ასევე მტკიცებულების ერთ-ერთ სახესაც.³⁰ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ბრალდებულს, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებები, მათ შორისაა ჩვენების მიცემაც.³¹ სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონი ბრალდებულს არ ავალდებულებს ჩვენების მიცემას, არამედ, პირიქით, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ჩვენების მიცემის ნებაყოფლობით ხასიათს,³² ხოლო, მეორე მხრივ, ანიჭებს დუმის უფლებას,³³ რაც იმას ნიშნავს, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მისცეს ჩვენება, უარი თქვას მის მიცემაზე ან თუნდაც ნაწილობრივ მისცეს იგი.

²⁹ იხ. სქ. N5, გვ. 235-236.

³⁰ იხ. სქ. N12, გვ. 206.

³¹ იხ. სქ. N1, მუხ. 74, ნაწ. 2.

³² იხ. სქ. N1, მუხ. 74, ნაწ. 2.

³³ იხ. სქ. N1, მუხ. 38, ნაწ. 4.

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, „ბრალდებულის ჩვენებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ჩვენების შინაარსს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება განსახილველი საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ გარემოებებს;

2. ამ ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან - მტკიცების საგანთან;

3. ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით;

4. ამ ინფორმაციის მატარებელია ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბრალდებულის სტატუსი.“³⁴

ამავე ავტორების აზრით, ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან მხოლოდ ის ნაწილი უნდა მივიჩნიოთ მტკიცებულებად, რომელიც ეხება ბრალად წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ქმედების შემადგენლობის დამდასტურებელ პირობებს და არა პირის პირად მოსაზრებებსა თუ დამოკიდებულებებს.³⁵ ბრალდებულის საქმისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაზე საუბრობს პროფ. გ. თუმანიშვილიც, როდესაც აღნიშნავს ბრალდებულის მნიშვნელოვან როლს საქმის გამომიებისას, ერთი მხრივ, მართლაც ჭეშმარიტი ინფორმაციის მიწოდების გზით, ხოლო მეორე მხრივ - არასწორი ინფორმაციის გაცემით, რაც გამოწვეულია გამართლების მიზნით.³⁶

საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი აღნიშნავს, რომ „ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამდასტურებელ მტკიცებულებად.“ აღნიშნული არ გამორიცხავს ბრალდებულის პასუხისმგებლობას მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის გამო. მაშინ, როდესაც ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, მას საერთო წესით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.³⁷ განხილულ მოსაზრებას რადიკალურად ეწინააღმდეგება პროფ. თუმანიშვილი. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას ენიჭება მოწმის სტატუსი და

³⁴ იხ. სქ. N8, გვ. 256, §1.

³⁵ იხ. სქ. N8, გვ. 256.

³⁶ იხ. სქ. N12, გვ. 207.

³⁷ იხ. სქ. N8, გვ. 257, §6.

უფლებები, სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ „მოწმესთან“ მისი გაიგივება არაა სწორი, ვინაიდან კანონმდებელი ცალ-ცალკე უთითებს მოწმესა და დაზარალებულზე, რომელსაც ასევე ენიჭება მოწმის უფლებები დაკითხვის დროს, თუმცა არ მოიხსენიებს ბრალდებულს. აგრეთვე, მოიშველიებს საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მესამე ნაწილს, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება გაუარესდეს ბრალდებულის მდგომარეობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმით ან ცრუ ჩვენების მიცემით.³⁸ განხილულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ ბრალდებული ნამდვილად არ უნდა მიეცეს პასუხისმგებლობაში ცრუ ჩვენებისთვის, ვინაიდან კანონმდებლობა მართლაც პირდაპირ განსაზღვრავს დანაშაულის სუბიექტებს და იქიდან გამომდინარე, რომ სუბიექტური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება ბრალდებული და მოწმე, მხოლოდ დაკითხვისას მინიჭებული უფლებამოსილებით არ შეიძლება გავაუარესოთ მისი სამართლებრივი მდგომარეობა, გამოვიყენოთ ანალოგია და ფაქტობრივად, ბრალი დავდოთ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლის განხორციელებასაც სსკ ბრალდებულის მხრიდან არ ითვალისწინებს

ამასთან, არც თუ იშვიათია, როდესაც ბრალდებული იძლევა აღიარებით ჩვენებას, რომლითაც შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულად აღიარებდეს ბრალად წარდგენილ ქმედებას. საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილიც იმპერატიულად ამბობს, რომ „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“. შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების აღიარება შეიძლება განპირობებული იყოს თუნდაც სხვა ადამიანისთვის ხელის დაფარების მიზნით ან რამე სხვა ფაქტის დამალვით, მხოლოდ მასზე დაყრდნობა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია და მისი შინაარსი უნდა დასტურდებოდეს სხვა აშკარა და შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

1.3.2. მოწმის ჩვენება

სანამ უშუალოდ მოწმის ჩვენებაზე გადავიდოდე, აღვნიშნავ თუ ვინ არის მოწმე. მოწმე სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილით, არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ანუ, ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება

³⁸ იხ. სქ. N12, გვ. 208

ფლობდეს საქმის ირგვლივ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. შესაბამისად, კანონი არ განსაზღვრავს და არ ადგენს, კონკრეტულად როდის შეიძლება იყოს პირი მოწმე და მის ცნებას ფართოდ განმარტავს. თუმცა, საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი გვთავაზობს იმ გამონაკლისს, როდესაც პირი არ არის ვალდებული იყოს მოწმე.

როგორც ვიცით, დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პირის ნებაყოფლობით გამოკითხვას, თუმცა, გარკვეულ დანაშაულებთან მიმართებით ჯერ კიდევ შენარჩუნებულია გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი.³⁹ ორივე შემთხვევაში აუცილებელია, რომ გამოკითხვის/დაკითხვის მწარმოებელმა პირმა შეადგინოს შესაბამისი ოქმი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუცვალოს მეორე მხარეს. ამასთან, საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშეც. აღნიშნულ მუხლში ცალსახად იკვეთება შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან მე-2 ნაწილის მიხედვით, მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს უფლება მოწმედ დაკითხოს ის გამოსაკითხი პირი, რომელმაც უარი განაცხადა გამოკითხვაზე, მაგრამ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი. ასეთ დროს კი დაკითხვას არ ესწრება დაცვის მხარე.⁴⁰

რაც შეეხება უშუალოდ მოწმის ჩვენებას, მის განმარტებას კანონმდებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგად ნაწილში აკეთებს. სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის მიხედვით, ის არის „მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.“ საქმის განხილვისას მოწმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოწმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინფორმაცია გარკვეული მოვლენების შესახებ და არა მოწმის დამოკიდებულებები თუ შეფასებები.⁴¹ ის შეიძლება ეხებოდეს ბრალდებულის პიროვნებას, საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობას, მიყენებული დაზიანებების ხასიათს, სიმძიმეს და სხვა.⁴²

საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლი კი უკვე განმარტავს თუ როდის მიიჩნევა მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ჩვენებად. კერძოდ, 75-ე მუხლის 1-

³⁹ იხ. სქ. N1, 332-ე მუხლი.

⁴⁰ იხ. სქ. N1, მუხ. 114, ნაწ. 10.

⁴¹ იხ. სქ. N12, გვ. 213.

⁴² იხ. სქ. N8, გვ. 37, §36.

ლი ნაწილის თანახმად, „მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.“ აღნიშნული ნორმით კანონმდებელი, ფაქტობრივად, ხაზს უსვამს ადამიანის შესაძლებლობებს, ვინაიდან ინფორმაცია, რომელსაც მოწმე აწვდის მხარეს ან სასამართლოს უნდა იყოს ზუსტი, აღქმადი და დამაჯერებელი. შესაბამისად, თუ პირს გააჩნია რამე ნაკლი და ამის მიუხედავად დაჟინებით ცდილობს კონკრეტული ფაქტის დამტკიცებას, რა თქმა უნდა, მისი ჩვენების გაზიარება არ იქნება სწორი და სასამართლო ვერ დაეყრდნობა მის მიერ მიცემულ ჩვენებას. მოწმის ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმებად შესაძლოა მივიჩნიოთ შემდეგი:

- ჩვენება უნდა ეხებოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს;
- ჩვენება უნდა იყოს დაფიქსირებული სსსკ დადგენილი წესით და უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო 1998 წლის სსსკ დებულებების დროებით მოქმედების პირობებში, ასევე მოწმის დაკითხვის ოქმში;
- მოწმემ უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის მოწმის სუბიექტური უნარები;
- მხარემ უნდა გადასცეს მოწმის გამოკითხვის ოქმი სსსკ 83-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.⁴³

75-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოწმის ჩვენების დაუშვებლობის სხვა საფუძველზეც ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ კი, მოწმის გამოკითხვისას მიცემულ ჩვენებასა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, ან მოწმის ჩვენებებს შორის არსებით წინააღმდეგობაზე. ასეთ დროს კანონი მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების/ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. „წინააღმდეგობრივი შესაძლებელია იყოს ინფორმაცია, რომელიც ეხება: 1. ძირითად ფაქტს (მაგალითად, ბრალდებულის ბრალეულობას, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას); 2. კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობის არ მქონე დეტალს/საქმის ცალკეულ გარემოებას.“⁴⁴ ამასთან, კანონმდებელი ხაზს უსვამს წინააღმდეგობრიობის არსებით ხასიათს. რა თქმა უნდა, თუ, მაგალითად, გამოკითხვასა და სასამართლოში ჩვენების მიცემას შორის დიდი დროა გასული ან ამ პერიოდში მოწმემ განიცადა რამე სახის ტრამვა და

⁴³ იხ. სკ. N8, გვ. 259, §4.

⁴⁴ იხ. სკ. N8, გვ.263-264, §27

ა.შ., შესაძლებელია წინააღმდეგობები იყოს, თუმცა ამ დროს უნდა გაირკვეს ეს იყო შემთხვევითი თუ წინასწარ გაცნობიერებული და განზრახული.

და ბოლოს, კანონმდებელი მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით.“⁴⁵ აღნიშნული დანაწესი შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის ზოგად წესს ითვალისწინებს, რომლის დარღვევაც იწვევს ნებისმიერი ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას და რომელიც განხილული იქნება შემდგომ თავებში.

1.3.3. ირიბი ჩვენება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე განიხილავს ირიბ ჩვენებას. სსსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება ნორმის განმარტებიდან და ცნებიდან გამომდინარე, ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, რომლის უშუალო თვითმიხილველი, შემსწრე, გამგონე და მომპოვებელი პირი არ ყოფილა მოწმე და სხვისი მეშვეობით გახდა ცნობილი. სწორედ ამიტომ, იურისტები მას ე.წ. „ნაწარმოებ მტკიცებულებასაც“⁴⁶ უწოდებენ. შესაბამისად, მიეკუთვნება თუ არა ჩვენება ირიბ ჩვენებას განისაზღვრება მასში მოცემული ინფორმაციით და პირველადი ობიექტური წყაროს არსებობით. პრაქტიკაში მას, მიუხედავად არაპირდაპირი ხასიათისა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაწარმოები მტკიცებულების გამოყენება შესაძლებელია პირველადი მტკიცებულების გადამოწმების, კორექტირების, შეფასებისათვის, თავდაპირველი მტკიცებულების შევსებისათვის, ასევე, წარმოადგენს პირველადი მტკიცებულების მოძიების საშუალებას.⁴⁷ თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწმეს კონკრეტული ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს არა პირველადი წყაროდან, არამედ მათ შორის კიდევ რამდენიმე რგოლი არსებობდეს, რაც ნაკლებად სარწმუნოს ხდის მის ჩვენებას სანდოობისა და გადამოწმების ხარისხის თვალსაზრისით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება

⁴⁵ იხ. სქ. N1, მუხ. 75, ნაწ. 3.

⁴⁶ იხ. სქ. N8, გვ. 264.

⁴⁷ იხ. სქ. N8, გვ. 265, §5.

შესაძლებელია⁴⁸ ან/და თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.⁴⁹ კანონმდებელი ამ დანაწესით იმპერატიულად მოითხოვს, რომ კონკრეტული ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელი უნდა იყოს. ჩვენების შინაარსის გადამოწმებას მნიშვნელობა აქვს სასამართლოსთვის და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან მოსამართლე აუცილებლად უნდა დარწმუნდეს, რომ მოწმის მიერ მიცემული ირიბი ჩვენება შეესაბამება სიმართლეს და შინაარსობრივად სწორია.⁵⁰ „პირველწყაროს დასახელების გარეშე შეუძლებელი იქნება იმის შემოწმება, თუ:

1. რამდენად შეეძლო პირველწყაროს საერთოდ სცოდნოდა ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია;
2. რამდენად სწორად შეეძლო მას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა;
3. მოწმის მიუკერძოებლობა;
4. აღნიშნული ინფორმაცია ნამდვილად დასახელებული წყაროსგან მიიღო ირიბი ჩვენების მიმცემმა მოწმემ თუ შეცდომაში შეყვანის მიზნით არასწორად უთითებს პირველწყაროს;
5. მოწინააღმდეგე მხარე მოკლებული იქნება შესაძლებლობას სადავო გახადოს ჩვენების სარწმუნოება, გამოიკვლიოს/დაჰკითხოს/გამოჰკითხოს პირველწყარო, რაც დაცვის უფლებასთან ერთად არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე.“⁵¹

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვის სხდომაზე მის წარმომავლობას არ ექცევა ყურადღება და შესაძლოა, რომ ჩვეულებრივ დამოუკიდებელ მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული. ასევე, იურიდიული ლიტერატურის ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება თავდაპირველი მტკიცებულების ნაცვლად დაიშვება, როდესაც შეუძლებელია თავდაპირველი მტკიცებულების გამოყენება, მაგალითად, წყაროს გარდაცვალების, უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, როდესაც უცნობია მისი ადგილსამყოფელი, გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ფსიქიკური ან ფიზიკური ტრავმის გამო

⁴⁸ იხ. სქ. N1, მუხ. 76, ნაწ. 2.

⁴⁹ იხ. სქ. N1, მუხ. 76, ნაწ. 3.

⁵⁰ იხ. სქ. N12, გვ. 217.

⁵¹ იხ. სქ. N8, გვ. 266, §9.

იმდენად შეერყა ჯანმრთელობა, რომ არ შეუძლია სწორად აღიდგინოს ან გადმოსცეს ფაქტები და სხვა.⁵²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მინიმალური სტანდარტი იმისთვის, რომ ირიბი ჩვენების გამოყენებამ არ გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. ამისათვის, შემდეგი ორი პირობა უნდა იქნეს დაცული: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლოში არგამოცხადების მნიშვნელოვანი მიზეზი ან/და ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს.⁵³

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო სტანდარტების არსებობისათვის, სახეზე უნდა გვექონდეს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას.⁵⁴ ირიბი მტკიცებულების მნიშვნელობაზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც. სასამართლომ განმარტა, რომ „მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საეჭვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. გამორიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით. სათანადო პროცესუალური სტანდარტების შემცველი, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზე, სასამართლოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის, მათი მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება.⁵⁵ თუ წარმოდგენილი ინფორმაცია მჭიდრო მიზეზობრივ კავშირში არ არის მთავარ დასადგენ ფაქტთან, მას საერთოდ არ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა.⁵⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს,⁵⁷ რის გამოც არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის მე-13 მუხლის ის

⁵² იხ. სქ. N8, გვ. 265, §6.

⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე “Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom“, საჩივრები: N26766/05 და N22228/06 და გადაწყვეტილება საქმეზე „Horncastle and Others v. The United Kingdom“ საჩივარი: N4184/10

⁵⁴ იხ. სქ. N1, მუხ. 13, ნაწ. 2.

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548, გვ.13, §25.

⁵⁶ იხ. სქ. N5, გვ. 243.

⁵⁷ იხ. სქ. N55, გვ.20, §52.

შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სსსკ-ის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

1.3.4. ნივთიერი მტკიცებულება

საპროცესო კოდექსი მტკიცებულების კიდევ ერთ სახედ ასახელებს ნივთიერ მტკიცებულებას. სსსკ-ის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილის თანახმად, ის არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. ნივთიერ მტკიცებულებებს შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს ნებისმიერი საგანი/ნივთიერება/კვალი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. იგი უნდა იყოს გასაგები ყოფითი აღქმისათვის, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლოში საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად და რომელთა გადაცემა შესაძლებელია ხელიდან ხელში.⁵⁸ მაგ., დანაშაულის იარაღი, საგანი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთები, სისხლის კვალი და სხვა.

საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლი ეხება უშუალოდ ნივთიერი მტკიცებულების მოპოვებისა და დასაშვებობის წესს. უნდა აღინიშნოს ის, რომ ნივთიერი მტკიცებულებისთვის აუცილებელია, რომ დასტურდებოდეს მისი ავთენტიკურობა⁵⁹ და ინახებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას.⁶⁰ რაც შეეხება მათ მნიშვნელობას, მათზე აღბეჭდილი მტკიცებულებითი ინფორმაცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ისინი დაკავშირებულია განსახილველ საქმესთან:

1. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის იარაღს ან საშუალებას;
2. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის საგანს;
3. შეინარჩუნეს დანაშაულის კვალი;
4. წარმოიქმნენ დანაშაულის ჩადენის შედეგად;
5. წარმოადგენენ დამნაშავე პირის იდენტიფიცირების და მისი აღმოჩენის, ბრალდების დადასტურების ან უარყოფის საშუალებას.⁶¹

⁵⁸ იხ. სქ. N8, გვ. 39, §39.

⁵⁹ იხ. სქ. N1, მუხ. 77, ნაწ. 4.

⁶⁰ იხ. სქ. N1, მუხ. 79, ნაწ. 1.

⁶¹ იხ. სქ. N8, გვ. 269, §3.

შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება შექმნილი იყოს ყოველგვარი განზრახვის და ცნობიერების გარეშე, უნებლიედ, რაც შემდგომში სისხლისსამართლებრივი საქმის გამოძიებისთვის ხდება მნიშვნელოვანი და მათი სხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებით იქმნება საბოლოო სურათი. სწორედ მისი შექმნა და წარმომავლობა განაპირობებს მტკიცებულების ინდივიდუალიზმს და შეცვლა, განადგურება ან სხვაგვარად დამახინჯება სპობს მისი გამოყენების შესაძლებლობას.

1.3.5. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება

დოკუმენტი მტკიცებულებების ერთ-ერთი სახეა და იგი განმარტებულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში მტკიცებულების ზოგად ცნებასთან ერთად. აღნიშნულის მიხედვით, დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განხილული განმარტებიდან ნათლად იკვეთება, რომ დოკუმენტისთვის მტკიცებულების ძალის მინიჭების მიზნით მნიშვნელოვანია თუ რა ინფორმაციას შეიცავს იგი, ანუ მისი შინაარსი და არა გარეგნული თუ სხვა მახასიათებელი ნიშნები. თუმცა, კანონმდებელი სსსკ-ის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით უშვებს გამონაკლისს და განსაზღვრავს, რომ დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა დოკუმენტის ფორმას, იქნება ეს წერილობითი თუ მაგალითად, ფოტოს სახით. მაგრამ, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.⁶² შესაბამისად, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება კუმულაციურად სამი სპეციალური წინაპირობის არსებობისას:

1. ცნობილია მისი წარმომავლობა - ცნობილია მისი შექმნის დრო, ადგილი, ვითარება და ა.შ.;
2. ავთენტიკურია - დასტურდება მისი ნამდვილობა და ის, რომ არ არის შეცვლილი;

⁶² იხ. სქ. N1, მუხ. 78, ნაწ. 1.

3. შესაძლებელია დაკითხოს პირი რომელმაც შექმნა/მოიპოვა ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.⁶³

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტი განსხვავდება ნივთიერი მტკიცებულებებისგან. განსხვავება მათ შორის არა მხოლოდ ნიშან-თვისებებშია, არამედ მოპოვების, დასაშვებობისა და შენახვის წესშიც. დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსი დოკუმენტებისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულების შენახვისთვის, ადგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ და ა.შ.⁶⁴ თუმცა, მიიჩნევა თუ არა საპროცესო დოკუმენტები, მაგ., დაკითხვის/გამოკითხვის ოქმები, ბრალდების შესახებ დადგენილება და სხვა საგამომიებო მოქმედებების შედეგად შედგენილი ოქმები დოკუმენტებად, ამის შესახებ კანონი არაფერს ამბობს. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მათი გამოიჯვნა, რაც შეეხება იურიდიულ ლიტერატურას, ავტორებს მიაჩნიათ, რომ ასეთ მტკიცებულებებს მიეკუთვნება სხვადასხვა საგამომიებო მოქმედების ოქმები. გამონაკლისია დაკითხვის ოქმები, რომელთაც დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. დაკითხვის შემთხვევაში მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება, ხოლო ოქმი მხოლოდ ფიქსაციის საშუალებაა. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელია მოწმის დაკითხვა არსებით სასამართლო სხდომაზე და სასამართლო სხდომაზე ხდება მის მიერ ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, მხარეები იკვლევენ არა დაკითხვის ამსახველ ოქმს, არამედ თავად ჩვენებას, რაც წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.

1.3.6. პრეიუდიცია

მტკიცებულების კიდევ ერთ სახეს, რომელსაც კანონი გვთავაზობს, პრეიუდიცია ეწოდება. ასეთ დროს გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, ნასამართლობის შესახებ განაჩენი, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის ან/და მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი.⁶⁵ იურიდიულ ლიტერატურაში პრეიუდიცია მიჩნეულია მტკიცებულების ყველაზე მყარ

⁶³ იხ. სქ. N8, გვ. 275, §1.

⁶⁴ იხ. სქ. N28, გვ.25.

⁶⁵ იხ. სქ. N1, მუხ. 73, ნაწ. 1.

სახედ, ვინაიდან იგი არ მოითხოვს დამატებით დამტკიცებას.⁶⁶ როგორც 73-ე მუხლშია აღნიშნული, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებზე და არ გახადონ ისინი სადაო. აღნიშნული გარემოება ისევ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს და ორივე მხარის ჩართულობას ითხოვს. შესაბამისად, ისინი თავად წყვეტენ საქმის განხილვის ფარგლებში რომელ მტკიცებულებებზე ღირს დავა. ასევე, თუ მტკიცებულება მიჩნეულია პრეიუდიციად, მისი გამოყენება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ როგორც მხარეებს, ასევე სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს. მაგრამ, მიუხედავად პრეიუდიციული ხასიათისა, კანონი უშვებს გამონაკლისსაც, როდესაც მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.⁶⁷ პრეიუდიციის შეცილების უფლება არაერთ ქვეყანაშია მხარდაჭერილი და მეცნიერულ დონეზე აღიარებულია, ვინაიდან პრეიუდიცია არის იგივე მტკიცებულება და მხარეებმა უნდა წარმოადგინონ საწინააღმდეგო ინფორმაცია მის შესაცილებლად.⁶⁸ ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დაცვის მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოახდინოს საწინააღმდეგო მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა და არ შეიძლება წინასწარ დადგენილი (რომელთა უარყოფა შეუძლებელია) ფაქტების გამოყენება პროცესში.⁶⁹

რომ შევაჯამოთ, პრეიუდიცია წარმოადგენს საქმისმწარმოებელი ყველა პირის/ორგანოს ვალდებულებას მტკიცებულებათა ყოველგვარი შემოწმებისა და შეფასების გარეშე დადასტურებულად მიიჩნიოს კონკრეტული გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ მიიჩნევს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის ინტერესები.

1.3.7. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები პირდაპირ არ განეკუთვნება მტკიცებულებებს და საპროცესო კოდექსშიც მთლიანად ცალკე თავი აქვს

⁶⁶სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) რედაქტორობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2012, გვ. 41.

⁶⁷იხ. სქ. N1, მუხ. 73, ნაწ. 2.

⁶⁸ ბურჯანაძე გ., „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 67.

⁶⁹ იხ. სქ. N68, გვ. 65-66

დათმობილი. სსსკ-ის 143¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს განეკუთვნება

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;

ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;

დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;

ე) ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;

ვ) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულებზეა შესაძლებელი⁷⁰. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი მოქმედებების ჩასატარებლად საჭიროა მოსამართლის განჩინება, ხოლო სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.⁷¹ ანუ, დაცვის მხარის მიმართ ამ შემთხვევაში ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან არცერთ საგამონაკლისო შემთხვევაშიც კი მას არ აქვს უფლება მოითხოვოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაცვის მხარეს მიეწოდება მტკიცებულებათა გაცვლის ეტაპზე, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.⁷² შესაბამისად, ფარულად მოპოვებული ინფორმაციისთვის მტკიცებულების ძალის მინიჭების ან მათი დაუშვებლად ცნობის საკითხი განიხილება ორივე მხარის მონაწილეობით, რა დროსაც საინტერესოა როგორ

⁷⁰ იხ. სქ. N1, მუხ. 143³, ნაწ. 2.

⁷¹ იხ. სქ. N1, მუხ. 143³, ნაწ. 1.

⁷² იხ. სქ. N1, მუხ. 143⁹, ნაწ. 2.

ფასდება ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულებების რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.

1.3.8. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებები

კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებები, ფარული საგამომიებო მოქმედებების მსგავსად, საპროცესო კოდექსის ცალკე თავშია განხილული. სსსკ-ის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, მხარე უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. როგორც ვხედავთ, ამ კონკრეტული ღონისძიებების ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია დაცვის მხარესაც, რაც განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით⁷³, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ნორმის ის შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო რეგულირება ზღუდავდა როგორც მხარეთა საპროცესო თანასწორობის, ასევე სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებას, აბრკოლებდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა სასამართლოს მედიატორის როლს ანიჭებს და უკრძალავს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულების მოპოვებასა თუ გამოკვლევას, დაცვის მხარე მისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში დამოკიდებული ხდებოდა ბრალდების მხარის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე. სადავო რეგულირება ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო განხილვის შედეგი დაეფუძნებოდა ბრალდების მხარის გულგრილობას, შეცდომას, ანდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და პირს პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ისე, რომ ვერ დაიცავდა თავს ბრალდებისაგან.⁷⁴

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმე № 1/1/650,699; ბათუმი, 2017 წლის 27 იანვარი.

⁷⁴ იხ. სქ. N73, გვ. 13.

კომპიუტერული სისტემისა და მონაცემის განმარტება საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილებშია განსაზღვრული. კერძოდ, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი), ხოლო კომპიუტერული მონაცემი – კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას. „აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კომპიუტერული მონაცემია ისეთი მონაცემიც, რომელიც მართალია იწარმოება კომპიუტერულ სისტემაში, მაგრამ საჯაროა ნებისმიერი პირისათვის, ისევე როგორც მონაცემი, რომლის გაცემის ვალდებულებაც საჯარო დაწესებულებებს გააჩნიათ, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა.“⁷⁵

რაც შეეხება სტანდარტს, რომელიც 136-ე მუხლის საფუძველზე დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვისთვისაა საჭირო, მტკიცებულებების მოპოვების მიზნით საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საგამომიებო მოქმედებების მსგავსად, როგორებიცაა ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, ამოცნობა, საგამომიებო ექსპერიმენტი და სხვა, დასაბუთებული ვარაუდი ეწოდება. დასაბუთებული ვარაუდით კი მხარე უნდა აპელირებდეს და ამტკიცებდეს, რომ სწორედ იქ იწარმოება საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

თავი II. მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2009 წლის რედაქციამ ძირითადად შეცვალა მხარეთა საპროცესო უფლებები. მნიშვნელოვნად შეიცვალა მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპიც, წესები, მომპოვებელ სუბიექტთა წრე და საქმეზე დამაგრების წესიც. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებათა მოპოვება მხარეთა უფლება და კომპეტენციაა. ნებისმიერი ინფორმაციისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭება სასამართლოს მიერ ხდება. დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის

⁷⁵ იხ. სქ. N28, გვ. 28.

მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. პროცესის არსისა და მისი შეჯიბრებითი ხასიათის გათვალისწინებით, ნებისმიერი შედეგი, რომელიც შეიძლება სისხლის სამართლის საქმეზე დადგეს, დამოკიდებულია სწორედ მტკიცებულებებზე, მათ კანონიერებაზე, მოპოვების გზებზე, შინაარსსა და საქმესთან შესაბამისობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მხარეებმა გაითვალისწინონ ის საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც შემდგომ თავებში განვიხილავ.

2.1. მტკიცებულებათა მოპოვება

მტკიცებულებათა მოპოვების გზები და საშუალებები, იმის მიხედვით თუ რა ინფორმაციაა და საიდან ან ვისგან ხდება მისი მოპოვება, საპროცესო კოდექსის სხვადასხვა ნორმებით განისაზღვრება. მტკიცებულებათა სახეების დახასიათებისას უშუალოდ შევხვებითოეული მათგანის მოპოვების გზებსა და კრიტერიუმებს, რის გამოც წინამდებარე თავში მტკიცებულებათა მოპოვების ზოგად წესს განვიხილავ. საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქციის⁷⁶ მიხედვით, მტკიცებულებათა მოპოვებას მტკიცებულებათა შეკრება ეწოდებოდა და 128-129-ე მუხლებით რეგულირდებოდა. აღნიშნული მუხლების თანახმად, მტკიცებულებათა შეკრებისა და პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის/პირისთვის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნდათ ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, დამცველს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მოპასუხეს, მათ წარმომადგენლებს.⁷⁷ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მტკიცებულებების შეკრება შესაძლებელი იყო წინასწარი გამოძიებისას, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისას და სააპელაციო განხილვისას, ასევე, დასაშვები იყო განაჩენის აღსრულების პროცესშიც.⁷⁸ დღესდღეობით, როგორც წესი, მტკიცებულებათა მოპოვება ხდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით, რომელიც ძირითადად მიმდინარეობს გამოძიების ეტაპზე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მათი მოპოვება ობიექტურად შეუძლებელია.⁷⁹ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.⁸⁰ ანუ, ძველი პროცესისგან განსხვავებით, დაზარალებულსა და სამოქალაქო მოსარჩელე-მოპასუხეს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

⁷⁶ იხ. სქ. N2.

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები; ზ.მეიშვილი, ო.ჯორბენაძე, თბ. 2007, გვ. 303.

⁷⁸ იხ. სქ. N77, გვ. 301.

⁷⁹ იხ. სქ. N1, მუხ. 239, ნაწ. 5.

⁸⁰ იხ. სქ. N1, მუხ. 111, ნაწ. 1.

რაც შეეხება უშუალოდ მოპოვების წესს, ძირითადი დანაწესი, რომელსაც სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილი მხარეებს ავალდებულებს, არის საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირის მიერ მონაწილეებისთვის უფლება-მოვალეობების განმარტება. თუ ტარდება ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით,⁸¹ ხოლო თუ საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისაა, ანუ, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე.⁸² იმ შემთხვევაში კი, თუ პირი, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება, თანახმაა, მისი თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.⁸³ „მოსამართლის განჩინების გამოთხოვა ხორციელდება მხარის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მხარის მოთხოვნა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი, ფაქტები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, მსჯელობა და არგუმენტაცია ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, კანონი, რომელიც არგუმენტებს და მსჯელობას ამყარებს. მხარე ვალდებულია, შუამდგომლობაში დაასაბუთოს მტკიცებულებათა იმ სტანდარტის (დასაბუთებული ვარაუდის) არსებობა, რომელსაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.“⁸⁴ სასამართლო მხარის შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა.⁸⁵ მოსამართლემ მიღებულ განჩინებაში დეტალურად უნდა აღწეროს განჩინების არსი, ვისზე ვრცელდება იგი, მოქმედების ვადა,

⁸¹ იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 1.

⁸² იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 5.

⁸³ იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 1.

⁸⁴ იხ. სქ. N8, გვ. 369, §4.

⁸⁵ იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 1.

განჩინების შემსრულებელი პირი ან ორგანო, ჩხრეკა-ამოღების შემთხვევაში დააზუსტოს ჩხრეკის ობიექტი, ამოსაღები ნივთის გვარობითი ნიშნები, წინააღმდეგობის შემთხვევაში იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება და სხვა საკითხები.⁸⁶

საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებისთვის დასაბუთებული სტანდარტის არსებობის სავალდებულოება კვლავ სახეზეა. თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებასთან დაკავშირებით ვაწყდებით მხარეთა თანასწორუფლებიანობის შეზღუდვას. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა, მაშინ, როდესაც თუ ბრალდების მხარე მიიჩნევს მის საჭიროებას, შეუძლია ჩაატაროს, რასაც შემდგომ პროკურორი აცნობებს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და გადასცემს სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას.⁸⁷ გარდა ამისა, დაცვის მხარე არათანაბარ პირობებშია ბრალდების მხარის იმ უფლებასთან მიმართებით, რომლითაც შეუძლია ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მოითხოვოს მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება. ისევე, როგორც დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, თვითონ ჩაატაროს და თვითონვე გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.⁸⁸

მტკიცებულებათა მოპოვება, როგორც წესი, გამოძიების ეტაპზე მიმდინარეობს, თუმცა კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებას, მოიპოვოს მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც. კერძოდ, სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მხარეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ახალი მტკიცებულების მოპოვების ნებართვის თაობაზე, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ მანამდე ობიექტურად ვერ შეძლებდა ამ ინფორმაციის მოპოვებას,

⁸⁶ იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 2-3.

⁸⁷ იხ. სქ. N1, მუხ. 112, ნაწ. 5.

⁸⁸ იხ. სქ. N28, გვ. 15-16.

სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, მტკიცებულებათა მოპოვება მხარეთა უფლებას წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ კანონი ბრალდების მხარეს ავალდებულებს გამოძიება ჩაატაროს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, ვერავინ დააძალებს ან აუკრძალავს მას მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, ისევე, როგორც, ბრალდებულის ეფექტიანი დაცვისათვის, დაცვის მხარეს აქვს უფლება დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე აწარმოოს პარალელური გამოძიება, მოიპოვოს მტკიცებულებები თავად ან საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, კომერციული თუ სხვა სახის კერძო დაწესებულებიდან.⁸⁹

2.2. მტკიცებულებათა გაცვლა

მტკიცებულებათა გაცვლა მტკიცებულებათა წესების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც შეჯიბრებით სისტემას კიდევ უფრო ამყარებს, „ასევე ემსახურება სასამართლო პროცესის ეფექტურობას, ვინაიდან, თუ მხარემ ინფორმაცია რომელიმე კონკრეტული მტკიცებულების შესახებ შეიტყო მეორე მხარისაგან სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ეს გამოიწვევდა პროცესის გადადებასა და გაჭიანურებას”.⁹⁰ სსსკ-ის 83-ე მუხლის მიხედვით, მხარეები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე. დაცვის მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ბრალდების მხარისგან იმ მტკიცებულებების გადაცემა, რომლის წარდგენასაც იგი სასამართლოში აპირებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარე ვალდებულია, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებებიც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებით პროცესში ბრალდების მხარეს არ ეკისრება ბრალდებულის

გამამართლებელი მტკიცებულების მოძიების ვალდებულება, თუ ასეთი მტკიცებულება მისთვის ხელმისაწვდომი გახდება გამოძიების წარმოების ფარგლებში, მას ეკისრება მისი გაცვლის ვალდებულება, იმისდა მიუხედავად, აპირებს თუ არა ბრალდების მხარე მის წარდგენას

⁸⁹ იხ. სქ. N1, მუხ. 38, ნაწ. 7.

⁹⁰ იხ. სქ. N66, გვ. 70.

სასამართლოში.⁹¹ შესაბამისად, ბრალდების მხარე ვალდებულია დაცვის მხარის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს, რის შემდეგ თავადაც წარმოეშობა დაცვის მხარისგან მოპოვებული მტკიცებულებების გადაცემის მოთხოვნის უფლება.⁹² წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარემ არ მოითხოვა ინფორმაციის გაცვლა, კანონმდებელი ბრალდების მხარეს ფაქტობრივად ართმევს შესაძლებლობას, გაეცნოს დაცვის მხარის მტკიცებულებებს. მიუხედავად მხარეთა ასეთი უფლებისა, დაცვის მხარის მიმართ არსებობს გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევა. კერძოდ, ბრალდების მხარეს უფლება აქვს ოპერატიულ-სამძებრო ან ფარული საგამომიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სასამართლოს ნებართვით არ გადასცეს დაცვის მხარეს. თუმცა, ეს შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ მხარეთა მიერ ერთმანეთისა და სასამართლოსთვის მტკიცებულებათა გაცვლის/წარდგენისთვის დადგენილ ვადაზე, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.⁹³ 2013 წლამდე საპროცესო კოდექსი მსგავსი ტიპის შესაძლებლობას ითვალისწინებდა დაცვის მხარისთვისაც, კერძოდ, დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებას, რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი⁹⁴. სსსკ-ის 84-ე მუხლის მიხედვით, დაცვის მხარეს შეეძლო ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დაცვის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებათა სავალდებულო გაცვლის კიდევ ერთი შემთხვევა, რომელსაც სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს, არის მტკიცებულებათა გაცვლა ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაცემაში იგულისხმება საქმის შესაბამისი მასალების ასლების გადაცემა და არა გაცნობის შესაძლებლობის /პირობების შექმნა, ვინაიდან შეუძლებელია დიდი მოცულობის მქონე დოკუმენტაციის ადგილზე დამუშავება, მათ შორის მათი ანალიზის და სინთეზის გზით, საქმის დანარჩენ მასალებთან და მტკიცებულებათა ერთობლიობაში მათი განხილვა-შეპირისპირება და ანალიზი.⁹⁵

საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი (და არც სხვა მუხლები) არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების გამოთხოვა/მოპოვება ხორციელდება

⁹¹ იხ. სკ. N8, გვ. 301, §11.

⁹² იხ. სკ. N1, მუხ. 83, ნაწ. 1-2.

⁹³ იხ. სკ. N1, მუხ. 83, ნაწ. 5-6.

⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ; დოკ. ნომერი: 741-III; გამოქვეყნების თარიღი: 27/06/2013. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1956658#DOCUMENT:1;>

⁹⁵ იხ. სკ. N8, გვ. 300, §8.

წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლები ვადით ადრე ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 239-ე მუხლი არეგულირებს ახალი მტკიცებულების არსებით სასამართლო განხილვაზე წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, საპროცესო კოდექსში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ თუ ასეთი მტკიცებულების მოპოვებიდან რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს მხარემ მოწინააღმდეგე მხარისათვის გასაცნობად გადაცემა ან/და საერთოდ თუ არსებობს აღნიშნული ვალდებულება, თუ მხარეს ასეთი მტკიცებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მტკიცებულების დაშვების შესახებ. ისევე, როგორც საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს გრიფით საიდუმლო დოკუმენტების ანდა მთლიანად საქმის მასალების გაცნობა/გადაცემის წესს, რაც სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის.⁹⁶ მიუხედავად არასრულყოფილი რეგულირებისა, მტკიცებულებათა გაცვლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცნობისა და მათი უფლებების დაცვის მიზნებისთვის, არამედ, მოპოვებული ინფორმაციის არადროულად ან არასრულად გადაცემა იწვევს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას,⁹⁷ რაც გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე.

2.3. მტკიცებულებათა დასაშვებობა

მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი მხარეების მიერ ერთმანეთთან გაცვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ მტკიცებულებათა დასაშვებობის განხილვა წარმოადგენს. „სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულების დასაშვებობა - ეს არის სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა.“⁹⁸ მტკიცებულების დასაშვებობა კანონით განსაზღვრული წესების დაცვასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მისი შინაარსის შეფასებას გულისხმობს, რომლის გადაწყვეტაც სასამართლოს კომპეტენციაა⁹⁹ და რომელიც წინასასამართლო სხდომაზე განიხილება.¹⁰⁰

საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია განსაზღვრავს მტკიცებულებათა მოპოვების წესებსა და მათი შეფასების კრიტერიუმებს. სსსკ-ის 82-ე მუხლის

⁹⁶ იხ. სქ. N28, გვ. 34-35.

⁹⁷ იხ. სქ. N1, მუხ. 83, ნაწ. 4.

⁹⁸ ჩხეიძე ი., „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2010, გვ. 10.

⁹⁹ იხ. სქ. N1, მუხ. 72, ნაწ. 5.

¹⁰⁰ იხ. სქ. N1, მუხ. 219, ნაწ. 4, „ა“ ქვეპუნქტი.

1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც 2010 წლამდე მოქმედი საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ განსაზღვრავდა არა მხოლოდ დასაშვები მტკიცებულებების ჩამონათვალს¹⁰¹, არამედ, 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნეოდა, თუ იგი მიღებული იყო:

ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე;

ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან;

გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;

დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.¹⁰²

იურისტთა განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში ამ პერიოდში მოქმედებდა მტკიცებულებათა დასაშვებობის პრეზუმფცია, ანუ მტკიცებულებები დასაშვები იყო თუ პროცესის მწარმოებელი ორგანო ან თანამდებობის პირი მას დაუშვებლად არ მიიჩნევდა.¹⁰³

მოქმედი და ძალადაკარგული საპროცესო კოდექსები იდენტურად არეგულირებს საკითხს მტკიცების ტვირთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს¹⁰⁴ და პირიქით. თუმცა, განსხვავებული მიდგომა დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების ბედთან დაკავშირებით. კერძოდ, 2010 წლამდე არსებული რედაქციის შესაბამისად, დაუშვებლად მიჩნეული

¹⁰¹ ა) ეჭვმიტანილის ჩვენება; ბ) ბრალდებულის ჩვენება; გ) განსასჯელის ჩვენება; დ) დაზარალებულის ჩვენება; ე) მოწმის ჩვენება; ვ) ექსპერტის დასკვნა; ზ) ნივთიერი მტკიცებულებანი; თ) საგამომიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები; ი) სხვა დოკუმენტები; კ) ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მოწმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით.

¹⁰² იხ. სქ. N2, მუხ. 111, ნაწ. 1.

¹⁰³ იხ. სქ. N77, გვ. 278.

¹⁰⁴ იხ. სქ. N1, მუხ. 72, ნაწ. 3;
იხ. სქ. N2, მუხ. 111, ნაწ. 2.

ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით¹⁰⁵, რასაც მოქმედი საპროცესო კოდექსი არა თუ გამორიხავს, არამედ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების რამე ფორმით გამოყენება ან გაზიარებაც კი დაუშვებელია. ერთადერთი გამონაკლისია, როდესაც საქმეს ნაფიც მსაჯულები განიხილავენ. ამ დროს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც.¹⁰⁶

როგორც უკვე აღვნიშნე, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი განიხილება წინასასამართლო სხდომაზე, რა დროსაც მოსამართლე ითვალისწინებს რამდენადაა დაცული მტკიცებულებათა მოპოვების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. კერძოდ, იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ შუამდგომლობის ფარგლებში, რომელსაც დააყენებს მხარე, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ვინაიდან მოსამართლე მსჯელობს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, ეს გულისხმობს მის იმ უფლებამოსილებას, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ რომელიმე მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული.¹⁰⁷ ამ უკანასკნელს იზიარებენ საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორებიც, როდესაც აღნიშნავენ, რომ „სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობით და ვალდებულია, დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას.“¹⁰⁸ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ თუ ერთი მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ არ წინააღმდეგება მეორე მხარე, მტკიცებულების დაუშვებლობა ითვლება დადგენილად და მოსამართლე აკმაყოფილებას შუამდგომლობას.¹⁰⁹ ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია, განსაკუთრებით თუ მტკიცებულების დაუშვებლობას ითხოვს ბრალდების მხარე და ბრალდებულს არ ჰყავს ინტერესების დამცველი ადვოკატი. მტკიცებულებათა დასაშვებობა საბოლოოდ უნდა შეაფასოს მოსამართლემ მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ და მეორე მხარის მხრიდან საწინააღმდეგო პოზიციის არარსებობა არ

¹⁰⁵ იხ. სქ. N2, მუხ. 111, ნაწ. 5.

¹⁰⁶ იხ. სქ. N1, მუხ. 264, ნაწ. 1.

¹⁰⁷ იხ. სქ. N28, გვ. 29.

¹⁰⁸ იხ. სქ. N8, გვ. 654, §9.

¹⁰⁹ იხ. სქ. N21, გვ. 263.

უნდა გახდეს დაუშვებლობის საფუძველი, ვინაიდან არა მხოლოდ ამ საფუძველით, არამედ „როდესაც მტკიცებულების მოპოვების დროს კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს, მაშინ სამართლებრივ სახელმწიფოში მიუღებელია, რომ ამ მიზეზით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გამო ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და ამით შეფერხდეს დამნაშავისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.“¹¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ცალსახად განსაზღვრავს მტკიცებულებათა დასაშვებობის განხილვის ეტაპს, საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე. შესაბამისად, ერთი მხრივ, მხარეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თუ რატომ ვერ წარადგინა არსებით სხდომამდე კონკრეტული მტკიცებულება და რაში გამოიხატება მიზეზის საპატიოობა, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო განხილვისას მოსამართლემ ჯეროვნად უნდა შეაფასოს, არის თუ არა არსებითად მნიშვნელოვანი იმ მტკიცებულების გამოკვლევა, რომელიც მტკიცებულების დასაშვებობასაც მხარე შუამდგომლობს, იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნეს დარღვეული სამართლიანი სასამართლოს უფლება.¹¹¹

კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო ფაქტობრივად განსაზღვრავს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, არის სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება. კერძოდ, პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ

¹¹⁰ იხ. სქ. N8, გვ.250, §13.

¹¹¹ იხ. სქ. N8, გვ.700, §5.

მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ, მით უფრო ზემდგომი პროკურორის მიერ დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილება ავტომატურად არ იწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. აღნიშნული საფუძველით მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე შუამდგომლობა დაყენებულ უნდა იქნეს წინასასამართლო სხდომაზე.¹¹²

მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება ექვემდებარება გასაჩივრებას. ის საჩივრდება ერთჯერადად, 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.¹¹³ ნორმის ფორმულირებიდან ცალსახაა, რომ მხარეებს არ ეძლევათ საშუალება გაასაჩივრონ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მოსამართლემ დასაშვებად ცნო მეორე მხარის მტკიცებულებები, რომელთა დაუშვებლად ცნობასაც ითხოვდა ერთი მხარე. ამით ფაქტობრივად ირღვევა მხარის უფლებები, რომლითაც გარანტირებული უნდა იყოს საქმის ობიექტურად განხილვა, მითუმეტეს მტკიცებულებათა თვალსაზრისით, რომელიც განაპირობებს საბოლოო განაჩენის შედეგებს და ეფუძნება მოსამართლის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება უშუალოდ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს რამდენიმე სამართლებრივ საფუძველს, რომელთაგანაც ერთ-ერთზე - **მტკიცებულებათა დაუშვებლობა გაცვლის წესის დარღვევის მოტივით** - ნაშრომის წინა ქვეთავში უკვე ვისაუბრე. შემდეგი და ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი გახლავთ **მტკიცებულებათა დაუშვებლობა არსებითი დარღვევისა და შესაძლო გამოცვლის მოტივით**. სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. როგორც ვხედავთ, კანონი დაუშვებელი მტკიცებულების ზოგად ცნებას აყალიბებს. იმისთვის, რომ მტკიცებულება დაუშვებლად იქნეს ცნობილი, სახეზე უნდა გვქონდეს მოპოვების წესის არსებითი დარღვევა ან არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებით ბრალდებულის

¹¹² იხ. სქ. N8, გვ. 498, §17.

¹¹³ იხ. სქ. N1, მუხ. 219, ნაწ. 7.

სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ცვლილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილებამ განაპირობა. საპროცესო კოდექსის მანამდე არსებული რედაქციით¹¹⁴ დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნეოდა „ამ კოდექსის“ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება. შესაბამისად, ცვლილების შედეგად გაფართოვდა შესაძლო დაუშვებელ მტკიცებულებათა წრე, რამაც, ჩემი აზრით, უფრო სამართლიანი და შეჯიბრებითი გახადა სისხლის სამართლის პროცესი. რაც შეეხება არსებითი დარღვევის განმარტებას, 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, არსებითად ითვლებოდა იმ კოდექსის მოთხოვნათა ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალეს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.¹¹⁵ დღესდღეობით, არსებითი დარღვევის განმსაზღვრელი კრიტერიუმები არ არსებობს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს დარღვევის არსებობა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის დროს უფრო ნათლად გამოიკვეთება. მანამდე კი, მაგალითისთვის, კანონის არარსებით დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო დოკუმენტების შედგენისა თუ შევსების დროს დაშვებული ტექნიკური ხასიათის უნებლიე შეცდომები, თუ ისინი პროცესის მონაწილის, მათ შორის მხარის, მდგომარეობას არ ცვლის იმგვარად, რომ ამ შეცდომის არარსებობის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ასევე, იმ საგამომიებო მოქმედების ჩატარება, რომლის ჩატარებისთვისაც აუცილებელია მოსამართლის განჩინება, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, თუ მისი მოპოვებისათვის გამოყენებული იქნა კანონით აკრძალული იძულება, წამება, დაშინება და სხვა სახის ზემოქმედება¹¹⁶ და სხვა.

იურისტთა აზრით, იმისათვის, რომ მტკიცებულება დასაშვებად იქნეს მიჩნეული, ის, როგორც მინიმუმ, უნდა ხასიათდებოდეს ზიგიერთი ნიშან-თვისებით:

- მტკიცებულება უნდა იყოს მოპოვებული უფლებამოსილი სუბიექტების მიერ;
- მოპოვებულ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან;

¹¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 09.10.2009 წელი, 08.07.2015 წლის მდგომარეობით; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=58>; ბოლოს ნანახია: 30.06.2018 წ.

¹¹⁵ იხ. სქ. N2.

¹¹⁶ იხ. სქ. N66, გვ. 37.

- მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს სსსკ-ით დადგენილი წესის შესაბამისად;

- ფიქსირებული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.¹¹⁷

ამრიგად, მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმი უფრო ფორმალიზებულია, ვინაიდან მოითხოვს მტკიცებულების მოპოვების და დამაგრების მთელი პროცედურის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას, ე.ი. ფაქტობრივი მონაცემების წყაროების და მტკიცებულების შეკრების ხერხის შესაბამისობას საგამომიებო/სასამართლო/საპროცესო მოქმედებასთან.¹¹⁸ მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტის დროს სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს დარღვეული ნორმის ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლების დაცვას.¹¹⁹

გარდა ამისა, 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ასევე, დაუშვებელია არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც, თუ უარესდება ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული დანაწესი სისხლის სამართალში „**მოწამლული სხის ნაყოფის**“ დოქტრინით არის ცნობილი. მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის დარღვევისა და მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებითად იქნა დარღვეული კანონი უშუალო (პირველადი) მტკიცებულების მოპოვების დროს და რამდენად გააუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, თუკი იგი კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს.¹²⁰ ანუ, ამგვარი მტკიცებულება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც კი, თუ თუ ის არ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი გარკვეულ

¹¹⁷ იხ. სქ. N8, გვ. 292.

¹¹⁸ იხ. სქ. N8, გვ. 292, §12.

¹¹⁹ იხ. სქ. N8, გვ. 249, §10.

¹²⁰ იხ. სქ. N8, გვ. 245, §3.

მოვლენათა განვითარების შედეგად შეწყვეტილია ან იმდენად შესუსტდა, რომ ექვექვემ დგას, თუ რამდენად არის 'მოწამლული' მტკიცებულება კანონდარღვევით მიღებული მტკიცებულებების 'ნაყოფი' და ასევე ხომ არ ჩამოშორდა მას 'შხამი', შესაძლებელია კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა.¹²¹ ამასთან, პროფ. ი. ჩხეიძეს მიაჩნია, რომ „თუ შედეგად უტყუარი მტკიცებულება იქნება მოპოვებული, ის სისხლის სამართლის საქმეს აუცილებლად უნდა დაერთოს.“¹²² გამონაკლის შემთხვევას ეხება მ. ხოდელი თავის სტატიაში, როდესაც საქმე ეხება წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობას და აღნიშნავს, რომ „კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ შეფასებას არ ექვემდებარება წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა. ამ შემთხვევაში მიუღებელია მტკიცებულებათა გამორიცხვის წესიდან რაიმე სახის გამონაკლისის დაშვება. აღნიშნული არ უნდა მოხდეს მაშინაც კი, როცა წამებით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა ბრალდებულის ინტერესში შედის.“¹²³

სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. მსგავსი სახის საეჭვო მტკიცებულებებს შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) და ხელი შეუშალონ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.¹²⁴ იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებელი თავად არ განმარტავს თუ რაში გამოიხატება გონივრული ეჭვი მტკიცებულებათა შეცვლასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში ავტორები განმარტავენ, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვის „გონივრულობა“ უნდა დადგინდეს გონივრული ეჭვის საერთო სტანდარტით. კერძოდ, გონივრული ეჭვი კი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო აღბათობა.“¹²⁵

მტკიცებულებათა დაუშვებლობის კიდევ ერთ საფუძვლად მიჩნეულია მისი არარელევანტურობა. იქიდან გამომდინარე, რომ მტკიცებულების

¹²¹ იხ. სქ. N12, გვ. 315.

¹²² იხ. სქ. N98, გვ. 75.

¹²³ სამართლის ჟურნალი N2, 2014; უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 286

¹²⁴ იხ. სქ. N8, გვ. 249, §11.

¹²⁵ იხ. სქ. N66, გვ. 38.

რელევანტურობა მტკიცებულების შეფასების დროს გამოიყენება,¹²⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარების ავტორთა აზრით, მტკიცებულების არარელევანტურობა არ არის მტკიცებულების დაუშვებლობის კანონით განსაზღვრული საფუძველი, რამდენადაც საქმის გარემოებებთან მტკიცებულების შემხებლობის დადგენა მოითხოვს მის გამოკვლევას, სხვა მტკიცებულებებთან შეჯერებას, შეფასებას, რაც არ ხდება წინასასამართლო სხდომაზე.¹²⁷ მიუხედავად ამისა, მკვლევარ იურისტებს გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრება. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რელევანტურობის შეფასება წინასასამართლო სხდომაზე რთულია, მნიშვნელოვანია მისი შეფასება მოხდეს არსებითი განხილვის სხდომამდე.¹²⁸ ამასთან, „რელევანტურობისთვის განმსაზღვრელია არა მტკიცებულების მოპოვების ფორმის დაცვა, არამედ შინაარსი. შესაბამისად, რელევანტურობის შეფასება ხდება არა მისი მოპოვების ფორმის დაცულობის, არამედ შინაარსის გათვალისწინებით – რამდენად არის მტკიცებულება შემხებლობაში საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან.“¹²⁹

რელევანტურია ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შემხებლობაშია საქმესთან და შეუძლია გავლენის მოხდენა საქმის საბოლოო შედეგზე. იმისათვის, რომ დადგინდეს მტკიცებულების საქმესთან შემხებლობა, რა თქმა უნდა, საჭიროა მისი შინაარსობრივი შეფასება, რაც წინასასამართლო სხდომის განმხილველი მოსამართლის კომპეტენციას ცდება. ამავე დროს, მტკიცებულებას არ ექნება გადამწყვეტი ძალა, თუ ის არ არის კავშირში საქმის არსთან და ახალს არაფერს სძენს საქმეს თუნდაც სხვა მტკიცებულების დადასტურების მხრივ.¹³⁰

რელევანტურობის თვალსაზრისით, მტკიცებულება რელევანტურია, თუ:

○ ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე;

○ ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებებით;

○ მიუთითებს სხვა მტკიცებულების არსებობაზე;

○ ახასიათებს ამა თუ იმ საგამომიებო მოქმედების წარმოების პირობებს და წესს და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულების შემოწმებას;

○ ადგენს ფაქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საგამომიებო ვერსიას;

○ უკუაგდება უკვე დადგენილ გარემოებებს;

¹²⁶ იხ. სქ. N1, მუხ. 82, ნაწ. 1.

¹²⁷ იხ. სქ. N8, გვ. 655, §18.

¹²⁸ „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, თბ. 2015, გვ. 43.

¹²⁹ იხ. სქ. N128, გვ. 43.

¹³⁰ იხ. სქ. N66, გვ. 65.

ომიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობაზე/არარსებობაზე;

ოდასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს.¹³¹

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რელევანტურობა წარმოადგენს მტკიცებულების შეფასების და არა დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წინასასამართლო სხდომაზე გარკვეულწილად მაინც უნდა მოხდეს მისი შეფასება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კანონში არსად არის მითითებული, კონკრეტულად სასამართლო განხილვის რომელ ეტაპზე ხდება მტკიცებულებათა შეფასება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობაც, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ სამართლებრივი ცოდნა და რომლებზეც ძალიან მარტივად შესაძლებელია გავლენის მოხდენა საქმესთან შეუსაბამო მტკიცებულებებით. ამასთან, თუ არსებით განხილვაზე არ იქნება გადაცემული არარელევანტური მტკიცებულებები, მხარეები ჯერ კიდევ მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე მეტ კონცენტრირებას მოახდენენ საქმისთვის არსებითი ინფორმაციის შეგროვებაზე, რაც დადებითად იმოქმედებს მართლმსაჯულების განვითარებაზეც, ვინაიდან ბრალდების მხარე ვეღარ შეძლებს შეუსაბამო ინფორმაციით მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტის დაკმაყოფილებას. ასევე, ნაკლები დრო და რესურსი დაიხარჯება არსებით განხილვაზე ასეთი მტკიცებულებების გამოკვლევის საჭიროების არარსებობით.

ამ ყველაფერთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკაში აქტუალურია პროცესუალური დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების გამიჯვნის საკითხიც. იურიდიულ წრეებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს დუსკუსიები იმის თაობაზე, ხომ არ უნდა განხორციელდეს სსსკ-ში შესაბამისი ცვლილებები და განისაზღვროს მტკიცებულებათა ჩამონათვალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორთა აზრით, „მტკიცებულება არ არის დადგენილება ბრალდების შესახებ, განჩინება ან სხვა საპროცესო გადაწყვეტილება, რაც სპეციალური ნორმებით დადგენილი წესით შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან ეს გადაწყვეტილება არ გაიზიაროს სასამართლომ, მაგრამ მათი დაუშვებლად ცნობა სამართლებრივად წარმოუდგენელია. ამდენად, არასწორია ხშირ შემთხვევაში მხარის მოთხოვნა, მაგალითად, ბრალდების

¹³¹ იხ. სქ. N8, გვ. 294, §28.

შესახებ დადგენილების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება რამეს „მოპოვებად“ ჩაითვალოს, როგორც ეს სსსკ-ის 72-ე მუხლშია აღნიშნული. ამასთან, ეს მსჯელობა არ ეხება დადგენილებებს, რაც მიმართულია მტკიცებულებების მოსაპოვებლად. მეორე მხრივ, არაუფლებამოსილი პროკურორის დადგენილება ბრალდების შესახებ უნდა გახდეს დევნის შეწყვეტის და არა – ამ დადგენილების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი.¹³² ჩემი აზრით, კანონის არსებული ვერსია სრულიად ლეგიტიმურია. შეუძლებელია ყველაფერი გაიწეროს კანონში და ჩამონათვალი იყოს სრულყოფილი. თუნდაც ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინებით, ყოველდღიურად იცვლება ინფორმაციის მოპოვების წყარო, საჭიროებები და სტანდარტები. შესაბამისად, გარკვეული სიების შედგენა გამოიწვევს ქაოსს და სასამართლოს ინდივიდუალურად მოუწევს ისეთ ინფორმაციებზე მსჯელობა, რომელიც არ იქნება კანონში და პრაქტიკა გახდება კიდევ უფრო არაერთგვაროვანი.

საპროცესო კოდექსი, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ითვალისწინებს მტკიცებულებათა კონკრეტული სახეების დაუშვებლობის **სხვა სამართლებრივ საფუძვლებსაც**, რომელთა დიდ ნაწილზე პირველი თავის ფარგლებში უკვე ვისაუბრე. ამ ეტაპზე შევეხები იმ საგამომიებო მოქმედებებს, რომლებიც აქამდე არ განმიხილავს. ისეთი საგამომიებო მოქმედებების, როგორებიცაა ჩხრეკა, ამოღება, ამოცნობა, დათვალიერება, საგამომიებო ექსპერიმენტი, ექსპერტიზის ჩატარება და სხვა, განხორციელებით შესაძლებელია მტკიცებულებების მოპოვება. თითოეული მათგანისთვის სსსკ განსაზღვრავს შესაბამის წესებს, რომელთა დარღვევა იწვევს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას, ეს შეიძლება იყოს როგორც ვადების დარღვევა, ასევე ფორმალური კრიტერიუმების დაუცველობა, უფლებების განუმარტებლობა და სხვა. მაგალითად, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს ამოცნობის შემთხვევაში მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველზე. სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიაწინეს ამოსაცნობ ობიექტზე. იურიდიულ ლიტერატურაში დამატებით განმარტებულია, რომ ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამოცნობის მიმდინარეობისას დარღვეულია სსსკ-ის

¹³² იხ. სქ. N8, გვ. 654, §12.

არსებითი მოთხოვნა ან ამოცნობის ოქმი სსსკ-ის არსებითი დარღვევით არის შედგენილი.¹³³

ამასთან, კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობაზე. სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3¹ ნაწილის თანახმად, თუ ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტმა ვერ ან არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა, ექსპერტის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, ხოლო ექსპერტის მოწმედ დაკითხვა დაუშვებელია.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, დაცვის მხარეს დროულად უნდა ეცნობოს თავისი შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.¹³⁴

დამატებით, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლებით, მტკიცებულება შეიძლება დაუშვებელი იყოს:

- დაკავებული პირისათვის მისი უფლებების განუმარტებლობის გამო;
- თუ მოპოვებულ იქნა ისეთი საგამოძიებო მოქმედებისას, რომლის დრო და ადგილი ბრალდებულისთვის ცნობილი არ იყო;
- თუ მოპოვებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების დროს;
- თუ მტკიცებულება მოპოვებულია ძალადაკარგული განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად;
- თუ მტკიცებულება მოპოვებულია გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად;
- თუ მტკიცებულება მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად;
- თუ მტკიცებულება წარმოდგენილია მტკიცებულებათა დამაგრების წესის დარღვევით;
- მისი წარმომავლობის მიუთითებლობის შემთხვევაში
- და სხვა.

¹³³ იხ. სქ. N8, გვ.414, §9.

¹³⁴ იხ. სქ. N1, მუხ. 40, ნაწ. 2.

თავი III. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის კვლევებისა და ანგარიშების ანალიზი

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იკვლევენ მართლმსაჯულების მდგომარეობას საქართველოში და ამზადებენ შესაბამის ანგარიშებსა და კვლევებს. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის შევისწავლე 2011 წლიდან დღემდე არსებული ანგარიშები და კვლევები, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია გამოიყოს რამდენიმე მათგანი. პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, დოკუმენტებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ძალადობას, გენდერულ თანასწორობას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციებს, მართლმსაჯულების აღსრულებას და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს და ნაკლებადაა მიმოხილული პრობლემები მტკიცებულებების მოპოვება-დასაშვებობასთან დაკავშირებით. განვიხილოთ ისინი:

ევროპის საბჭოს 2011 წლის 28 მარტის ანგარიშში, რომელიც საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემას შეეხება, სხვა საკითხებთან ერთად საუბარია სამართლის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე. სწორედ აღნიშნულ ანგარიშში საუბარია 2010 წელს ძალაში შესულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, კერძოდ მის შეფასებაზე. ანგარიშის ავტორთა აზრით, კოდექსის ნორმები მტკიცებულებების მოპოვებასა და პროცესამდე წარდგენისათვის თანაბარ უფლებებს ანიჭებს პროკურატურასა და დაცვის მხარეს.¹³⁵

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის ტომას ჰამარბერგის 2011 წლის 30 ივნისის ანგარიში შეეხება საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებას და ადამიანის უფლებების მდგომარეობას საქართველოს სასამართლო სისტემაში. მკვლევარის აზრით, მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი საჯაროდ გაცხადებული მიზანი არის მხარეებს შორის სრული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელება სამართალწარმოების ისეთ სისტემაში, რომელიც აქამდე, ძირითადად ინკვიზიციური იყო. ახალი სისტემა ითვალისწინებს პროკურორის როლის შეზღუდვასაც. კოდექსის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია სასამართლომდე ხუთი დღით ადრე წარმოადგინოს მტკიცებულებები, ასევე, უზრუნველყოფილია ადვოკატის მიერ პროფესიული უფლებების უკეთ განხორციელება, კერძოდ,

¹³⁵ ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასსამბლეა, „საქართველოს პატივისცემა ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების მიმართ“, დოკ. 12554, 28 მარტი, 2011 წ., გვ. 21.

უზრუნველყოფილია წინასწარი გამოძიების ეტაპზე საქმეში არსებული მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა. მოსამართლეს კი უფრო ნეიტრალური ზედამხედველის როლი ეკისრება და მან სასამართლო პროცესის სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს.¹³⁶ ავტორი აქვე ხაზს უსვამს მტკიცებულებების მოპოვებასა და გამოძიების ეტაპზე დაშვებულ პროცედურულ დარღვევებს. მისი დაკვირვებით, პროკურორები ზოგჯერ არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას გამოძიების პროცესში დაშვებულ პროცედურულ დარღვევებზე, რომლის მიუხედავად გრძელდება სასამართლო განხილვა და დგება განაჩენი.¹³⁷ კომისარი ასევე დადებითად მიესალმება დაცვის მხარისათვის საპროცესო კოდექსით მინიჭებულ უფლებას, გაეცნოს მტკიცებულებებს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო პროკურორის ვალდებულებას, წარმოადგინოს ყველანაირი მტკიცებულება სასამართლო პროცედურის დაწყებამდე 5 დღით ადრე. თუმცა, კომისარი აღნიშნავს, რომ დაცვასა და პროკურატურას შორის უთანასწორობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჯერ კიდევ ამკარად არსებობს. შესაბამისად, აუცილებელია ამ უთანასწორობის აღმოფხვრა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჭეშმარიტი შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესის წარმართვა.¹³⁸

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ¹³⁹ ანგარიშში დეტალურადაა განხილული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა პრობლემატური საკითხები. ანგარიშის ავტორები ეხებიან მტკიცებულებათა გაცვლის წესს. მოსაზრების ავტორთა აზრით, ინფორმაციის გაზიარების ვალდებულება აქ არ უნდა მთავრდებოდეს (წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე), არამედ უნდა იყოს უწყვეტი, როგორც ეს იგულისხმება 83-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა ამ მუხლის ფორმულირებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, გააზიაროს ყველა ინფორმაცია სპონტანურად, ხოლო დაცვის მხარე ვალდებულია

¹³⁶ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011 წ., გვ. გვ. 5-6.

¹³⁷ იხ. სქ. N136, გვ. 15

¹³⁸ იხ. სქ. N136, გვ. 18.

¹³⁹ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014 წ.

კეთილსინდისიერად, წინასწარ აცნობოს ბრალდების მხარეს, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი გამოძიება. ამდენად, მიზანშეწონილია, 83-ე მუხლი სათანადოდ შეიცვალოს.¹⁴⁰

ეუთო - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში¹⁴¹ კი ავტორები ეხებიან ისეთ საკითხს, როგორცაა ბრალდების შესახებ დადგენილებისთვის მტკიცებულების სტატუსის მინიჭება. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გავრცელებულია ბრალდების შესახებ დადგენილების მტკიცებულებად გამოყენების პრაქტიკა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღნიშნავს, რომ პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. შემდგომ, კოდექსი მოითხოვს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება წარედგინოს ბრალდებულს, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი გაეცნო მის შინაარსს. კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებას, როგორც ინფორმაციას „რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს...“ ასევე განსაზღვრულია, რომ დოკუმენტის გამოყენება მტკიცებულებად შესაძლებელია, „თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ინფორმაციას“.¹⁴² ბრალდებულად ცნობის დადგენილების მიზანია მიაწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია წაყენებული ბრალის შესახებ, რომელიც საფუძველად დაედება ბრალდებულის დაცვის მომზადებას, აგრეთვე სასამართლოს განხილვას და საქმეზე განაჩენის გამოტანას. იგი წარმოადგენს პროკურატურის გამოძიების შედეგს და მის ამ შედეგთა ინტერპრეტაციას, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბრალდებულისთვის ბრალის წასაყენებლად დასაბუთებული ვარაუდის ფორმით. დოკუმენტი არ შეიცავს მტკიცებულებით ღირებულებას და შეიცავს მოსაზრებას, რომელიც შემდგომში უნდა დამტკიცდეს სასამართლო პროცესზე ფაქტების წარდგენის მეშვეობით. ბრალდებულად ცნობის დადგენილება ამდენად ვერ ჩაითვლება „ფაქტად“ ან ცალკეულ „მტკიცებულებად“. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ საქმეში ყოფილა დადგენილი, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილებაზე დაყრდნობით მოხდა პირის მსჯავრდება, მისი მტკიცებულებად მიჩნევა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ დაცვის მხარემ იგი უნდა უარყოს, რაც

¹⁴⁰ იხ. სქ. N139, გვ. 27.

¹⁴¹ ეუთო - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში- საქართველო, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014 წ.

¹⁴² იხ. სქ. N141, გვ. 70.

უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტურ პრინციპს ეწინააღმდეგება. სწორედ ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებას მკვლევარები მიმართავენ რეკომენდაციით, არ დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად,¹⁴³ ვინაიდან ბრალდებულად ცნობის დადგენილების მტკიცებულებად მიჩნევა ფაქტიურად იწვევს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას, რადგან მას უწევს მისი მცდარობის დადგენა.¹⁴⁴

ანგარიში ეხება ბრალდებულის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენასაც. ბრალდებულის წინა ნასამართლობის შესახებ მსჯელობის დაშვებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული არის კრიმინალი, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს საქმეში წარმოდგენილ ფაქტებს და შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოქმედებს პირის დამნაშავეობის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ინფორმაცია წარსული ნასამართლობის შესახებ უნდა იქნას შემოთავაზებული, როგორც მტკიცებულება წინასამართლო განხილვაზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება არ იქნას წარმოდგენილი სავალდებულოდ, ბრალდების მხარეს მაინც უნდა მოეთხოვოს მისი დასაშვებობის შესახებ მტკიცება ბრალდებულის მიმართ, როცა ნასამართლობა დანაშაულის აუცილებელი ნიშანია ან ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებების სანდოობის დადასტურება მოწმდება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას წარმოდგენილი საქმის არსებით განხილვაზე, თუ წინასამართლო სხდომის მოსამართლე დაადგენს, რომ მის მიერ გამოწვეული ზიანი გადაწონის მის მტკიცებით ღირებულებას. ხოლო თუ ასეთი ინფორმაცია არ არის რელევანტური ან არ აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველყოფისათვის.¹⁴⁵

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ 2013 წლის ივნისში მომზადდა ანგარიში „დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულაბათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“. მკვლევართა მოსაზრებით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობის შეზღუდვა. მათი ეს აზრი ემყარება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით

¹⁴³ იხ. სქ. N141, გვ. 18.

¹⁴⁴ იხ. სქ. N141, გვ. 75.

¹⁴⁵ იხ. სქ. N141, გვ. 72.

გათვალისწინებულ შუამდგომლობის წარდგენის უფლებას ნებისმიერ ეტაპზე მაშინ, როდესაც შუამდგომლობის უმთავრესი მიზანი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებაა, სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა კი ჭეშმარიტების დადგენაა. ისინი ასევე აპელირებენ მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ წესებზე, რომელიც მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის თავისუფლებას უზრუნველყოფდა. მათ მიაჩნიათ, რომ ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება სწორედ მხარეთა შეჯიბრებითობას ეფუძნება, სადაც პროცესის ბედს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წყვეტს და აპელირება მხოლოდ იმაზე, რომ მხარეს ზედა სასამართლო ინსტანციებში შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება უკანონო მტკიცებულებით მიღებული გადაწყვეტილების მოტივით, ეწინააღმდეგება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას და საბოლოო ჯამში, ეჭვქვეშ აყენებს შეჯიბრებითი პროცესის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შეჯიბრებითი პროცესის შინაარსის რეალური განხორციელებისათვის ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.¹⁴⁶ მომზადებული ანგარიშის ფარგლებში ძალიან საინტერესოა პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები სხვადასხვა პოზიციებიდან. მაგალითად, ადვოკატების აზრით, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დაცვის მხარის მიერ არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებისას, საქმის განხილველი მოსამართლე მიუთითებს ხოლმე, რომ ეს არ წარმოადგენს იმ ეტაპს, როდესაც უნდა მოხდეს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის განხილვა და მოსამართლე აღნიშნავს, რომ ეს წინასასამართლო სხდომაზე უნდა მომხდარიყო. არსებით სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე სასამართლო არათუ აკმაყოფილებს, არამედ ასეთი შუამდგომლობის განხილვაზეც კი უარს ამბობს, იმ მოტივით, რომ შუამდგომლობის დაყენება უნდა მომხდარიყო მაინცდამაინც წინასასამართლო სხდომაზე. შესაბამისად, დაცვის მხარეს პრობლემად მიაჩნია შუამდგომლობების განუხილველად დატოვება.¹⁴⁷ ადვოკატებისაგან განსხვავებით, სრულიად საწინააღმდეგოა პროკურორებისა და მოსამართლეების დამოკიდებულება. მათი აზრით, როდესაც საქმე ეხება არა ახალ, არამედ ძველ მტკიცებულებას, რომლის შესახებაც დაცვის მხარემ გვიან

¹⁴⁶ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“, ივნისი, 2013 წ. გვ.12.

¹⁴⁷ იხ. სქ, N146, გვ.16.

შეიტყო, რომ კანონდარღვევით არის მოპოვებული, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლო ამ შუამდგომლობას არ განიხილავს. შუამდგომლობის ავტორს სასამართლო უარს ეუბნება შუამდგომლობის განხილვაზე და იმ არგუმენტზე მიუთითებს, რომ ამგვარი შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე არ განიხილება. ისინი ფიქრობენ, რომ ეს არის სწორი, რომ ამით არ ირღვევა მხარეთა უფლებები შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით და რომ დაცვის მხარეს შეუძლია დაკსენით სიტყვაში ისაუბროს აღნიშნულის შესახებ.¹⁴⁸

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ 2015 წლის ანგარიშში „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“ საუბარია არა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებ შემდეგზე. კვლევაში მტკიცებულებების მოპოვებასა და დასაშვებობასთან მიმართებაში საუბარია მხოლოდ თანასწორობის პრინციპზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეში, 2014 წლის 19 ნოემბერს პროკურატურის წარმომადგენელმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომლის თანახმად, პროკურატურა მზად არის და არა ერთხელ შესთავაზა დაცვის მხარის წარმომადგენლებს საქმის მასალებს გაეცნონ პროკურატურის შენობაში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. თუმცა კანონი მათ პირდაპირ ავალდებულებს მტკიცებულებათა ასლების გადაცემას მაშინ, როცა დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების გაცნობის მსგავსი ფორმა არ მიაჩნია დაცვის პოზიციის მომზადების საკმარის შესაძლებლობად. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც საპროცესო კოდექსი მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემასთან დაკავშირებით ითვალისწინებს, არის ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გადაცემის შეზღუდვა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ნაწილში და ისიც მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცალსახად ირღვეოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.¹⁴⁹ შესაბამისად, აღნიშნული ეხება დაცვის მხარის უფლებას, მიიღოს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები სრულად და შეძლოს საკუთარი პოზიციის მომზადება ხელშემშლელი გარემოებების გარეშე.

¹⁴⁸ იხ. სქ, N146, გვ. 20.

¹⁴⁹ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“, 2015 წელი, გვ. 93.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ 2015 წელს ჩაატარა კვლევა „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, ხოლო 2018 წელს - „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერება მტკიცებულებათა მოპოვების, წარგდენისა და გამოკვლევის პროცესში“. მდგომარეობა მხარეთა თანასწორობის თვალსაზრისით ამ პერიოდებს შორის აშკარად შეიცვალა, რაც განპირობებულია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებებით. ასოციაციის აზრით, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში მხარეთა შესაძლებლობების უთანასწორობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით, რომ ბრალდების მხარეს, სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით პირდაპირ აქვს მინიჭებული უფლება „სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით.“ დაცვის მხარეს კი ასეთი უფლება არ აქვს – სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით.¹⁵⁰ აღნიშნული მდგომარეობა დღემდე უცვლელია და პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, შეიცვალა მიდგომა სსსკ-ის 136-ე მუხლთან მიმართებით, რაც 2015 წლის კვლევაში პრობლემად არის წარმოდგენილი.¹⁵¹

სიფას მკვლევარები ასევე ეხებიან მტკიცებულებათა რელევანტურობის შეფასებას მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე და მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის განხილვა მოხდეს არსებითი სხდომის დაწყებამდე – წინასასამართლო სხდომაზე.¹⁵² ამასთან, ისინი რეკომენდაციის სახით აყალიბებენ, რომ შესაძლებლობა მიეცეს მხარეებს წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლონ არარელევანტური მტკიცებულების გამორიდების შესახებ, რაც დასაშვებია გათვალისწინებულ იქნას სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილში, წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალის გაზრდით.¹⁵³

მტკიცებულებათა დაუშვებლობასთან დაკავშირებით, სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, არსებითი განხილვის დროს ამა თუ იმ მტკიცებულების გამოკვლევის დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევის (რაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველია) შემთხვევაში, მხარის მიერ ამ კონკრეტული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნას სასამართლო განიხილავს არა იქვე, არამედ საბოლოო

¹⁵⁰ იხ. სქ. N128, გვ. 33.

¹⁵¹ იხ. სქ. N128, გვ. 35.

¹⁵² იხ. სქ. N128, გვ. 43.

¹⁵³ იხ. სქ. N128, გვ. 44.

გადაწყვეტილების მიღების დროს.¹⁵⁴ ამგვარი პრაქტიკა დამატებით სირთულეებს წარმოშობს მხარეთათვის, კერძოდ კი:

ა) საქმეში, რომელსაც იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის განუხილველობა ზრდის რისკებს, რომ მსაჯულები ვერდიქტის გამოტანის დროს იხელმძღვანელებენ ისეთი მტკიცებულებითაც, რაც არ იყო დასაშვები;

ბ) მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, არსებით სხდომაზე, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე, მიიღონ სასამართლოს პასუხი მათ დასაშვებობაზე და მხოლოდ განაჩენის დასაბუთების შემდგომ იგებენ პასუხს ამ საკითხზე. ამ ვითარების გამო, მხარეები იძულებულნი არიან, გასწიონ ძალისხმევა საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას და დასკვნით სიტყვებში ისეთი მტკიცებულებების გაანალიზებაზე, რომელსაც საბოლოოდ სასამართლო დაუშვებლად ცნობს. ბუნებრივია, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, მხარეები მათზე ძალისხმევას აღარ გასწევენ.¹⁵⁵

სიფას 2018 წლის კვლევაში დასმულია არაერთი სამართლებრივი პრობლემა, თუმცა შევეხები მხოლოდ იმ განსხვავებულ საკითხებს, რომლებზეც აქამდე არ მისაუბრია. წარმოდგენილ კვლევაში ხარვეზად არის მიჩნეული მტკიცებულებათა გამოთხოვის საკითხი. კერძოდ, მიუხედავად სსსკ-ს ჩანაწერისა, რომ ბრალდების მხარეს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით პირდაპირ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით, ეს უფლებამოსილება რეალურად არ ხორციელდება. დაცვის მხარესაც, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ამგვარი გამოთხოვის შესაძლებლობა არ აქვს და მან მტკიცებულება უნდა მოიპოვოს რომელიმე საგამოძიებო მოქმედების (ძირითადად ესაა ჩხრეკა/ამოღება ან დათვალიერება) მოთხოვნის გზით. მკვლევარების აზრით, ინფორმაციის გამოთხოვის, როგორც ინფორმაციის მოპოვების საპროცესო შესაძლებლობის დადგენა სსსკ-ში მნიშვნელოვნად გაზრდის მხარეთა შესაძლებლობებს მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. ინფორმაციის გამოთხოვა ინფორმაციის მოპოვების მარტივი ფორმაა ჩხრეკა/ამოღებასთან შედარებით, რომელითაც ძირითადად ხდება, ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვება მხარეების მიერ.¹⁵⁶

¹⁵⁴ იხ. სქ. N128, გვ. 45.

¹⁵⁵ იხ. სქ. N128, გვ. 46.

¹⁵⁶ „მის. სქ. N27, გვ.16.

ამავე კვლევის ავტორებს საკანონმდებლო ხარვეზად მიაჩნიათ მტკიცებულებათა გაცვლის წესის რეგულირება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლებ ვადაში ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ მოპოვებული მტკიცებულებების გადაცემასთან დაკავშირებით და გრიფით საიდუმლო დოკუმენტების გაცნობა/გადაცემის წესის თაობაზე. გრიფით საიდუმლო საქმეებზე დაცვის მხარეს არ გადაეცემა საქმის მასალების ასლები და მხოლოდ საქმის გამოძიების ორგანოში გაცნობაა შესაძლებელი. მათი აზრით, გამოძიების მასალების ასეთი წესის პირობებში, დაცვის მხარე ვერ ახერხებს სათანადოდ მოემზადოს პროცესისთვის, რადგან ობიექტურად შეუძლებელია, განსაკუთრებით დიდი მოცულობის საქმეებში, გამოძიების მასალების მხოლოდ წაკითხვით, მომზადებულ იქნას დაცვის სრულფასოვანი სტრატეგია. ასეთ პირობებში, ასევე, შეუძლებელი ხდება დაცვის მხარე სათანადოდ მოემზადოს მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვებისათვის, რაც სამართლიანი სასამართლო უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.¹⁵⁷

უშუალოდ მტკიცებულებების წესებთან დაკავშირებით 2016 წელს „**ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს**“ მიერ ასევე ჩატარდა კვლევა. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა არა ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ საკანონმდებლო ხარვეზებთან, არამედ სასამართლო პრაქტიკასთანაც. კვლევის შედეგად კიდევ უფრო ნათელი გახდა მხარეთა უთანასწორობა მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში. ასევე, იმასთან დაკავშირებით, რომ დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება თვითონ ჩაატაროს და პირველმა გამოიკვლიოს მისი შუადმგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.¹⁵⁸ კვლევაში ასევე გამახვილდა ყურადღება მტკიცებულების ცნებაზე. მტკიცებულების ცნებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სადაოა ხოლმე საკითხი, რომელზეც უკვე ვისაუბრე, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას ისეთი საპროცესო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავენ მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად განმარტავენ და არასწორად იყენებენ კანონით მინიჭებულ თავიანთ უფლებამოსილებებს ამ საპროცესო დოკუმენტთა დაუშვებლად ცნობისა და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, მით

¹⁵⁷ იხ. სქ. N27, გვ. 18.

¹⁵⁸ იხ. სქ. N28, გვ. 153.

უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.¹⁵⁹

ძალიან მნიშვნელოვანია არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე ხაზგასმა. კერძოდ, ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე იღებს არა საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, არამედ იმის მხედველობაში მიღებით თუ როგორ აისახება ეს გადაწყვეტილება საქმის საბოლოო შედეგზე. ამის გამო შეუძლებელი ხდება მტკიცებულებათა მიპოვების პროცესის დახვეწა და შესაბამისი პირების გადამზადებაზე ზრუნვა.¹⁶⁰

და ბოლოს, კვლევაში განხილულია მოსამართლის უფლებამოსილება დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება. სსსკ-ის 219-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, წინასასამართლო სხდომაზე განიხილოს მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. აღნიშნული საპროცესო ნორმა სასამართლო პრაქტიკაში განიმარტა იმდაგვარად, რომ მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხი, მიუხედავად იმისა შუამდგომლობს თუ არა ამის თაობაზე მხარე. მკვლევარების მოსაზრებით, ხსენებული პრაქტიკა არა მხოლოდ ეწინააღმდეგება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, არამედ არღვევს მხარის უფლებას მისთვის სასარგებლო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილება სასამართლოს მხრიდან მიღებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე შუამდგომლობს მეორე მხარე და მას მიეცა შესაძლებლობა ამ საკითხზე გამოეთქვა მოსაზრება.¹⁶¹

გარდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა, შესაბამისი ანგარიშები აქვს გამოქვეყნებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსაც. სახალხო დამცველის დასკვნები მტკიცებულებების მოპოვებასა და დასაშვებობის თემაზე საკმაოდ მცირერიცხოვანია. ერთ-ერთ ანგარიშში¹⁶² სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც აღნიშნული პრობლემა იკვეთება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ

¹⁵⁹ იხ. სქ. N28, გვ. 154.

¹⁶⁰ იხ. სქ. N28, გვ. 160.

¹⁶¹ იხ. სქ. N28, გვ. 160.

¹⁶² „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2010 წელი, გვ. 246.

აქვს.“ ამ მუხლით გარანტირებულია ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლება, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებები კანონის შესაბამისად უნდა იყოს მოპოვებული. აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს ე.წ. დეკლარაციული შინაარსის მუხლს, არამედ იგი ადგენს ძირითად გარანტიას, რომლის მიხედვითაც, ბრალდებული პირის წინააღმდეგ არ უნდა იქნას გამოყენებული ის მტკიცებულებები, რომლებიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული. ტერმინი „კანონის დარღვევა“ არ უნდა გავიგოთ ვიწროდ და ყველა კანონისმიერ დებულებასთან წინააღმდეგობა არ უნდა განვიხილოთ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველად. ანუ ნებისმიერი დარღვევა, რომელიც მტკიცებულებების მოპოვების პროცესში წარმოიშობა, არ არის უფლების შემლახავი, აუცილებელია აღნიშნული დამატებით იწვევდეს მოქმედი რეგულირების აშკარა, თვითნებურ ხელყოფას.¹⁶³

სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად კანონმდებლობა ადგენს მრავალ საკანონმდებლო დანაწესს მტკიცებულებათა მიმართ. მათი დაუცველობა საბოლოოდ ქმნის საფრთხეს ან იწვევს სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ასეთი მტკიცებულება a priori დარღვევად მიიჩნევა, სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის მიუხედავად. შესაბამისად, აუცილებელია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში კანონისმიერი ნორმების დაცვა, რათა საპროცესო გარანტიები სრულად იქნეს უზრუნველყოფილი საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში.¹⁶⁴

მკვლევარების აზრით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის განმტკიცებისაკენ გადადგმული ნაბიჯია 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, რომელიც დაცვის მხარეს, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე აძლევს საგამომიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებას.¹⁶⁵

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვის კუთხით, პროგრესულად უნდა შეფასდეს 2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაძლო მტკიცებულებათა

¹⁶³ იხ. სქ. N162, გვ. 246-247.

¹⁶⁴ იხ. სქ. N162, გვ. 248.

¹⁶⁵ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2013 წელი, გვ. 255.

თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ მხარეთა ვალდებულების ასახვაც. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების გადაცემა დაცვის მხარისთვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ხორციელდება, რაც ნაკლოვანი პრაქტიკაა და დაცვის მხარეს არათანაბარ პირობებში აყენებს. მოქმედი კანონმდებლობა მტკიცებულებათა გაცვლისათვის ვადას, პირველ რიგში, ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის უფლების გარანტირებისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო პროცესის უზრუნველსაყოფად ადგენს. ხუთ დღიანი ვადის დაცვა წარმოადგენს იმპერატიულ დანაწესს და შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნას. ამრიგად, ბრალდების მხარის მხრიდან ამ ვადის დარღვევა კანონმდებლის ნების უგულებელყოფაა. ამასთან, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის საკითხის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს, რატომ მიაჩნია, რომ კანონის დანაწესი არ დარღვეულა ბრალდების მხარის მიერ. სხვა შემთხვევაში, ადგილი აქვს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე სასამართლოს მხრიდან არასათანადო რეაგირებას, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაში უარყოფითი როლის მატარებელია.¹⁶⁶

სახალხო დამცველი, ასევე, ეხება გადაუდებელი აუცილებლობით მოპოვებულ მტკიცებულებებსა და მათი კანონიერების შემოწმების საკითხს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, კანონიერების საკითხის განხილვაში სავალდებულო გახდეს მხარეების ან/და იმ პირის მონაწილეობა, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამომიებო მოქმედება. ამასთან, მოსამართლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმ ოპერატიულ ინფორმაციასა თუ მასალაზე, რაც გახდა გადაუდებელი აუცილებლობით საგამომიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი.¹⁶⁷ შესაბამისად, მკვლევართა აზრით, პრობლემას წარმოადგენს არა უშუალოდ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამომიებო ღონისძიება, არამედ, მისი დასაშვებობა, ვინაიდან სასამართლო დასაშვებად ცნობს მტკიცებულებას, რომლის შინაარსიც და საქმესთან კავშირიც მისთვის უცნობია ან ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობიდან.

¹⁶⁶ იხ. სქ. N165, გვ. 256-257.

¹⁶⁷ იხ. სქ. N165, გვ. 266.

სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის ანგარიშში¹⁶⁸ ყურადღება გამახვილებულია კვლავ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე. მხარეთა შეჯიბრებითობის თვალსაზრისით პრობლემა იკვეთება, როდესაც საქმეს ენიჭება გრიფი „საიდუმლო“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსი არ კრძალავს/ზღუდავს ასეთი საქმის განხილვის დროს მხარეთა შორის მტკიცებულებების გაცვლას, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალისთვის (დოკუმენტისთვის) „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა; ასევე, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა უნდა გასაიდუმლოვდეს, რომელიც შეიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, რადგან მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების პროცესში ბრალდებულებისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.¹⁶⁹

რაც შეეხება სახალხო დამცველის 2016¹⁷⁰ და 2017¹⁷¹ წლების ანგარიშებს, მათში მტკიცებულებების მოპოვება-დასაშვებობასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. მტკიცებულებების კონტექსტში წარმოდგენილ ანგარიშებში განხილულია მხოლოდ გამოძიების ეფექტურად, ყოველმხრივ და ობიექტურად ჩატარების წესი და ნაფიც მსაჯულთა თუ მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებისთვის საჭირო მტკიცებულებათა სტანდარტი.

თავი IV. საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და რუსთავის საქალაქო (რაიონული) და ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან გამოვითხოვე 2016-2018 წლის პერიოდში

¹⁶⁸ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2014 წელი.

¹⁶⁹ „იხ. სქ. N168, გვ 389-390.

¹⁷⁰ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2016 წელი.

¹⁷¹ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2017 წელი.

მიღებული განჩინებები სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. განჩინებები, ისიც არასრულად, მომწოდა მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა (სულ 26 განჩინება), რომელთა მიხედვითაც მიმოვიხილავ სასამართლო პრაქტიკას მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

სსსკ-ში 2015 წლის 22 თებერვალს განხორციელდა ცვლილებები,¹⁷² რომლის მიხედვითაც, მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებები მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესაბამისად, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიებში.

სააპელაციო სასამართლოების საგამომიებო კოლეგიების განჩინებების ანალიზისას გამოიკვეთა არა მხოლოდ მათი მიდგომა კონკრეტული საკითხების მიმართ, არამედ საქალაქო (რაიონული) სასამართლოების პრაქტიკაც. კერძოდ, მიუხედავად კანონის იმპერატიული დანაწესისა, რომელიც მტკიცებულებათა გაცვლის 5 დღიან ვადას აწესებს, მაინც ხშირია მხარეებს შორის მტკიცებულებათა დაგვიანებით წარდგენის პრეცედენტები. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლის მიზანია აღნიშნულმა პროცედურებმა ხელი შეუწყოს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულყოფილად მოემზადონ სასამართლო განხილვისათვის, რისთვისაც მეორე მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდებიდან მას უნდა გააჩნდეს გონივრული ვადა, ვინაიდან თუ მხარისათვის უცნობია მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე წარსადგენი მტკიცებულებების შესახებ, ის ვერ შეძლებს საკუთარი პოზიციის ეფექტიანად განხორციელებას. ასეთ გონივრულ ვადად კი კანონმდებელმა ჩათვალა 5 დღე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაადგინა, რომ მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ანუ, კანონმდებელმა აუცილებლად მიიჩნია მტკიცებულების ძალის მქონე ინფორმაციის კანონით პირდაპირ დადგენილი წესისა და ვადის დაცვით გაცვლა, ხოლო მისი

¹⁷² საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”, მიღებულია 19.02.2015, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2742406NDOCUMENT:1;>

დაუცველობა წარმოადგენს კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული მოთხოვნის არსებით დარღვევას, რაც ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას იწვევს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ის, რომ მტკიცებულებები მოპოვებულია თუ არა კანონის დაცვით ან კანონის არსებითი დარღვევით, არამედ გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია ის, რომ მოპოვებული მტკიცებულებები მეორე მხარისათვის კანონით დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით იქნას მიწოდებული.¹⁷³ ანუ, მეორე მხარეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ სრული 5 დღე მტკიცებულებათა გასაცნობად.

საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო სასამართლო თავის განჩინებაში, რომელიც ეხებოდა ერთი მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების მეორე მხარის მიერ გამოყენების პრაქტიკას. მას შემდეგ, რაც მხარეები გაცვლიან მტკიცებულებებს ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე, დაცვის მხარე იპოვებს უფლებას მტკიცებულებათა ნუსხაში მიუთითოს ბრალდების მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებები და პირიქით. წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვისთვის აუცილებელია, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ჰქონდეთ შესაძლებლობა მიუთითონ, წარადგინონ მტკიცებულებები და მოითხოვონ მათი დასაშვებად ცნობა. გარდა ამისა, ასეთ ვითარებაში თუ დაცვის მხარე შემდგომში უარს იტყვის რომელიმე მოწმის დაკითხვაზე, ბრალდების მხარეს ეკარგება შესაძლებლობა გამოიკვლიოს მტკიცებულება, მაშინ, როდესაც დაცვის მხარე სარგებლობს ამ შესაძლებლობით.¹⁷⁴ შესაბამისად, იმის მიუხედავად მხარე შემდგომში გამოიკვლევს თუ არა თავის კონკრეტულ მტკიცებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიუთითოს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები თავის მტკიცებულებათა ნუსხაში და გამოიკვლიოს იგი, ვინაიდან საქმის სტრატეგიიდან გამომდინარე, შესაძლოა მხარემ უარი განაცხადოს საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების გამოკვლევაზე, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შედეგზე.

მტკიცებულებათა გაცვლასთან დაკავშირებით, ასევე პრობლემად ხდის დაცვის მხარე ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოთხოვნის ფაქტის სიაშკარავეს. ამასთან დაკავშირებით, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ პროცესუალური თვალსაზრისით მიზანშეწონილია, როგორც ინფორმაციის გადაცემა, ასევე შემდეგ მის საფუძველზე ინფორმაციის მოთხოვნაც ცალ-ცალკე შესაბამისი აქტებით იქნას დადასტურებული, რაც გამორიცხავს აღნიშნულთან დაკავშირებით არსებულ

¹⁷³ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/1339-16, 09 აგვისტო, 2016 წ.

¹⁷⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1გ-1566-16, 10 ოქტომბერი, 2016 წ.

ყოველგვარ რისკებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა ბრალდების მხარეს არ უზღუდავს უფლებას, რომ ინფორმაციის შესახებ მოთხოვნა იმავდროულად დააფიქსიროს მტკიცებულებების გაცვლის თუ მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის ოქმში. ხოლო, ის, რომ მოთხოვნა უნდა იყოს რეალურად აღქმადი, აღნიშნული სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდანაც გამომდინარეობს.¹⁷⁵

მტკიცებულებების გაცვლას ეხებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი განჩინებაც, რომლის მიხედვითაც, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მტკიცებულებები, ვინაიდან სასამართლოში წარდგენილი იყო ინფორმაციის გაცვლის ოქმი დაცვის მხარის ხელმოწერით, საფოსტო გზავნილით. ასევე, იგი უთითებდა, რომ გაურკვეველია თუ როდის ჩაბარდა ბრალდების მხარეს მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ კი განმარტა, რომ, მართალია, დაცვის მხარის წერილობითი მტკიცებულებების ბრალდების მხარისათვის გადაცემის შესახებ შესაბამისი ოქმი სათანადო წესით არ შემდგარა, თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ისეთ არსებით დარღვევად, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველი გახდება, ვინაიდან როგორც ზემოთ აღნიშნა, დაცვის მხარემ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები ბრალდების მხარეს და სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით გადაუგზავნა ოფიციალური წესით (ფოსტის მეშვეობით), რაც გულისხმობს ბრალდების მხარისა და სასამართლოს ინფორმირებულობას იმ მტკიცებულებების შესახებ. შესაბამისად, მტკიცებულებათა გაცვლის ოქმის არ არსებობის (არასათანადო წესით შედგენა) მოტივით დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა ზედმეტად ფორმალურია და შესაძლოა გამოიწვიოს დაცვის მხარისათვის საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა და დაარღვიოს მხარეთა შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპები.¹⁷⁶

და ისევ ამ საკითხთან დაკავშირებით, იქიდან გამომდინარე, რომ მტკიცებულებათა ნუსხის ცნებას და მის არსებობას საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში აპრობირებულია, მაინც ჩნდება პრობლემები. ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უარი

¹⁷⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/273-17, 27 თებერვალი, 2017 წ.

¹⁷⁶ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-157, 05 აპრილი, 2017 წ.

უთხრა ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების - მოწმეთა ჩვენებების გამოკვლევაზე მათ დაკითხვაზე, რადგან მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ იყო მითითებული დაზარალებულისა და მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის (დაკითხვის) ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან.¹⁷⁷

სასამართლოში ჯერ კიდევ განსხვავებული მიდგომაა წინასასამართლო სხდომის მოსამართლის კომპეტენციასთან დაკავშირებით თავისი ინიციატივით მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ერთ-ერთ განჩინებაში, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის საფუძველზე მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, მიუხედავად იმისა მეორე მხარე ხდის თუ არა სადაოდ რომელიმე მტკიცებულების დასაშვებად ცნობას, არ არის შეზღუდული და უფრო მეტიც - სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია სრულყოფილად შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მტკიცებულებების დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის შესახებ.¹⁷⁸ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე საკითხის გამოკვლევისა და შეფასების გარეშე კი არ ამტკიცებს მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაშვებაზე, არამედ მიუხედავად მეორე მხარის პოზიციისა, ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა და სწორედაც, რომ თავისი ინიციატივითაც უნდა შეამოწმოს კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, ვინაიდან მტკიცებულებათა დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობა სწორედ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხია.¹⁷⁹ წარმოდგენილ მოსაზრებას თავისსავე განჩინებაში ეწინააღმდეგება ერთ-ერთი მოსამართლე და მკაცრად განსაზღვრავს, რომ არასწორად მიაჩნია დამკვიდრებული პრაქტიკა სასამართლოს მიერ თავისი

¹⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე N2კ-652აპ.-15, 10.05.2016 წ.

¹⁷⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1გ-1566-16, 10 ოქტომბერი, 2016 წ.

¹⁷⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/337-17, 09 მარტი, 2017 წ.

ინიციატივით (მხარის შუამდგომლობის გარეშე) მსჯელობისა მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად „მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო“, მაგრამ 72-ე მუხლი არის ზოგადი მუხლი, რომელიც ადგენს მხოლოდ იმ პრინციპს, რომ შეჯიბრებითობის პრონციპიდან გამომდინარე მხარეები უფლებამოსილი არ არიან ერთმანეთის მტკიცებულებები ცნონ დაუშვებლად და ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. ანუ, 72-ე მუხლი ადგენს ზოგად წესს, მხოლოდ იმის შესახებ, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ სასამართლომ, ხოლო პროცესის რომელ სტადიაზე და რა წესით უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს დასაშვებობის საკითხი ამას განსაზღვრავს 219-ე მუხლი, რომელიც ადგენს რომ „მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე“, ანუ სახეზე გვაქვს ზოგად და სპეციალურ ნორმათა ურთიერთმიმართებისას ნორმის განმარტების აუცილებლობა. წარმოდგენილი მოსაზრების ავტორ მოსამართლეს მიაჩნია, რომ 72-ე მუხლი არის ზოგადი ნორმა, ხოლო 119-ე სპეციალური ნორმა (72-ე მუხლი ადგენს მხოლოდ იმ პრინციპის თუ ვინ შეიძლება ცნოს მტკიცებულება დაუშვებლად, ხოლო სპეციალური ნორმა 219-ე მუხლი ადგენს სპეციალურ წესს ამ ზოგადი ნორმის რეალიზაციის, თუ როდის რა ეტაპზე და რა შემთხვევაში უნდა განიხილოს მოსამართლემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი).¹⁸⁰

ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიდგომა დათვალიერების შედეგად ნივთის ამოღების პრაქტიკასთან მიმართებით. კერძოდ, დათვალიერება არ არის ის საგამოძიებო მოქმედება, რომელმაც საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის მოსაპოვებლად შეიძლება შეცვალოს ამოღება. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ის კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით უკვე მოპოვებული აქვს მხარეს და მის ხელთ იმყოფება. ამასთან, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის ამოღება დათვალიერებით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი აღმოჩენილია დათვალიერების მიმდინარეობის პროცესში, მაგალითად, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის და ა.შ.

¹⁸⁰ თბილისის სააკულადიო სასამართლო, საქმე N18/1614-16წ.; 20 ოქტომბერი, 2016 წ.

დათვალიერებისას და არა თვით ამ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერებისას. უფრო დეტალურად თუ განვმარტავთ, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის მოპოვებულია ჩხრეკით, ამოღებით, საგამომიებო ექსპერიმენტით, საბანკო ანგარიშების მონიტორინგით, ექსპუმაციით, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვით, ექსპერტიზით, ნიმუშის აღებით, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავის, გვამის და ა.შ. დათვალიერებით ან ფარული საგამომიებო მოქმედებებით. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს ისეთ საგამომიებო მოქმედებას, როგორც წლების წინ იყო - ნებაყოფლობით წარმოდგენა. ამიტომ, ნივთის (საგნის) წარმოდგენა, რასაც თან ახლავს მისი დათვალიერება და შემდეგ ამოღება წარმომდგენის თანხმობით, არ არის ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერი გზა (ხერხი). შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დათვალიერების ოქმის შედგენით ნივთმტკიცების ამოღებას გამომძიებლები მხოლოდ იმის გამო ახდენენ, რათა ამგვარად თავიდან აიცილონ ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლის განხორციელება, რაც რიგ შემთხვევებში, გარკვეული დროის რესურსის ხარჯვასთან და სასამართლოს განჩინების წინასწარ ან საგამომიებო მოქმედების ჩატარების შემდგომ მიღებასთან არის დაკავშირებული.¹⁸¹

დათვალიერებასთან დაკავშირებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია განმარტავს, თუ რა იგულისხმება სსსკ-ის 125-ე მუხლით განსაზღვრულ „სხვა ობიექტში“. კერძოდ, მხარეს ჩატარებული ჰქონდა ბრალდებულის გარეგნული დათვალიერება, რაც ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია დაუშვებელ მტკიცებულებად. სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის სხეულის დათვალიერებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლი არ ითვალისწინებს და ადამიანის სხეულზე არსებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალის აღმოჩენა და დანაშაულის შედეგად მიყენებული დაზიანებების გამოკვლევა-შეფასება უნდა მოხდეს არა გამომძიებლის მიერ ადამიანის და მისი სხეულის (დაზარალებული) გარეგნული დათვალიერებით, არამედ შესაბამისი სამედიცინო შემოწმების ან/და სხვა საპროცესო მოქმედების - ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების გზით.¹⁸²

¹⁸¹ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/407; 22 მარტი, 2017 წ.

¹⁸² ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-6, 08 იანვარი, 2017 წ.

იქიდან გამომდინარე, რომ შედარებით ახალი ინსტიტუტია კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემიდან მონაცემის გამოთხოვა, სსსკ-ის 136-ე მუხლთან დაკავშირებით ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედებები ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკაში და ხშირია, როდესაც ბრალდების მხარე ნაცვლად შესაბამისი პროცედურების ჩატარებისა, მიმართავს დათვალიერების გზას ან ნებაყოფლობით წარმოდგენის საშუალებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 136-ე, 143²-143¹⁰-ე მუხლებმა დაადგინეს მტკიცებულებების მოპოვების განსხვავებული რეჟიმი, სტანდარტი, ვიდრე სხვა საგამომიებო მოქმედება, ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვაგვარად ეს საგამომიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება. ამასთან სსს კოდექსით ყველა საგამომიებო მოქმედებით მოპოვებულ მტკიცებულებას უნარჩუნდება თანაბარი იურიდიული ძალა. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარის უფლებამოსილება უკავშირდება სწორედაც მის დისკრეციას და არა სხვა მხარის უფლებამოსილებას, რომ ამ განსხვავებული რეჟიმით მოსაპოვებელი მტკიცებულება შესაძლებელია მოპოვებულ იქნას მხოლოდ ამ მუხლებით დადგენილი წესით, რამეთუ მხარის გადასაწყვეტია ზოგადად მოიპოვებს თუ არა ამ ინფორმაციას.¹⁸³ სასამართლოს განმარტებით, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია გამოძიების მიერ მოპოვებული უნდა იქნას ყველა შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და 143²-143¹⁰-ე მუხლების მიხედვით, მაგრამ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ვიდრე-ჩანაწერში არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ შეეხება კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტს, კანონი აძლევს საშუალებას გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-126-ე მუხლების მიხედვით ჩაატაროს მხოლოდ დათვალიერება და დაათვალიეროს ინფორმაციის შემცველი ობიექტი (საგანი). აქვე, საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ ეს ეხება არა CD დისკზე ინფორმაციის გადმოტანას და შემდეგ მის დათვალიერებას, არამედ ჩანაწერის დათვალიერებას იმ მოცემულობაში, სადაც იგი იყო დაცული და დაფიქსირებული, რათა გამოირიცხოს ეჭვი მისი არაავთენტიკურობის შესახებ.¹⁸⁴

¹⁸³ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/548-16, 30 მარტი, 2016 წ.

¹⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/272-16, 24 თებერვალი, 2016 წ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება და დაუშვებელ მტკიცებულად ცნო დათვალიერების ოქმი, იმის საფუძველზე, რომ მასზე არ იყო დატანილი შევსების თარიღი. სასამართლოს განმარტებით, საგამომიებო მოქმედების ოქმი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მისი ჩატარების თარიღზე მითითებას და აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია არსებით დარღვევად.¹⁸⁵

სასამართლოს მიერ არსებით დარღვევად იქნა მიჩნეული ასევე ადვოკატის სავალდებულო ყოლის/დანიშვნის წესის დარღვევა, მაშინ, როდესაც ბრალდებულის მიმართ არსებობდა დადგენილება სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.¹⁸⁶ თუმცა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო არსებით დარღვევად არ მიიჩნევს დაცვის მხარის მიერ მოწმისთვის გამოკითხვის ჩატარებამდე ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაუფრთხილებლობას და მიაჩნია, რომ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაუფრთხილებლობის მოტივით დაცვის მხარის მტკიცებულების - გამოკითხვის ოქმის დაუშვებლად ცნობა ზედმეტად ფორმალურია და შესაძლოა გამოიწვიოს დაცვის მხარისათვის საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა და დაარღვიოს მხარეთა შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპები.¹⁸⁷

ბოლოს აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საკითხი, რომელზეც წინა თავებში თეორიულად უკვე ვისაუბრე და რომელიც ეხება დოკუმენტების გამიჯვნას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ერთ-ერთ განჩინებაში¹⁸⁸ ისაუბრა აღნიშნულთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

– საპროცესო გადაწყვეტილება - პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე;

– საპროცესო მოქმედება - მწარმოებელი პირის ნებისმიერი მოქმედება რომელიც არ არის საპროცესო გადაწყვეტილება ან/და საგამომიებო მოქმედება;

¹⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/730-16, 22 აპრილი, 2016 წ.

¹⁸⁶ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-145, 25 მარტი, 2017 წ.

¹⁸⁷ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-258, 01 ივნისი, 2017 წ.

¹⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/1614-16წ.; 20 ოქტომბერი, 2016 წ.

– საგამოძიებო მოქმედება - საპროცესო მოქმედება, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ.

ყველა საგამოძიებო მოქმედება და საპროცესო გადაწყვეტილება ამავე დროს საპროცესო მოქმედებაა, ხოლო საპროცესო მოქმედებებიდან მხოლოდ ის მოქმედებებია საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ და რომლებიც ტარდება მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით. შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე.¹⁸⁹ ამით, მოსამართლემ ფაქტობრივად ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, საპროცესო კოდექსში მოცემული მტკიცებულების ცნების არასრულფასოვნებას და მეორე მხრივ, წინ წამოწია სასამართლოს დროისა და რესურსის დაზოგვის საკითხი, რაც გამოწვეულია ფორმალური დოკუმენტების, მაგ., წერილების, მიმართვების, საპროცესო დოკუმენტების, თუნდაც, ჩამონათვალის წაკითხვით და დასაშვებობის ფორმალურად განხილვით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ რიგ საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკა დღეს კიდევ არაერთგვაროვანია და არ არის ერთნაირი მიდგომა მოსამართლეების მხრიდან. განხილული განჩინებების შედეგად, პროცენტულად ძალიან მცირე რაოდენობის გადაწყვეტილებაა დასაბუთებული. არცერთ გადაწყვეტილებაში დასაბუთების სიმყარისთვის არ არის მოყვანილი ევროპული სასამართლოს პრეცედენტები ან სტანდარტები. უკეთეს შემთხვევაში, მოსამართლე ახდენს სუბსუმფციას და ამით ცდილობს გაამყაროს თავისი გადაწყვეტილება, რაც, უფრო მეტად მიმართულია საქმის საბოლოო შედეგის განსაზღვრისკენ და რაც, რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული.

დასკვნა

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა მტკიცებულებათა მოპოვებასა და დასაშვებობაზე თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი მოსაზრებების წარმოდგენა.

პირველ რიგში, ხარვეზი, რომელიც გამოიკვეთა როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, არის მტკიცებულების ცნების არასრულყოფილება. ერთი შეხედვით სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში

¹⁸⁹ იხ. სქ. N188.

მოცემული განმარტება საკმაოდ ჩამოყალიბებულია და არ ტოვებს კითხვის ნიშნებს, თუმცა როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე სასამართლოებში და პრაქტიკოსთა წრეებშიც თავს იჩენს დოკუმენტების გამიჯვნის პრობლემა. რამდენად უნდა იყოს ბრალდების შესახებ დადგენილება ან დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, როდესაც პირველის უკანონობის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი უნდა იყოს დევნის შეწყვეტა, ხოლო მეორეს არარსებობამ შეიძლება განაპირობოს დანაშაულის შემადგენლობის გამორიცხვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს და გაიმიჯნოს საპროცესო დოკუმენტები მტკიცებულებებისაგან, რათა გაუქმდეს წერილობითი მტკიცებულებების წაკითხვის პრაქტიკა და განიტვირთოს სასამართლო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გახდეს ბრალდების მხარის წახალისების საფუძველი და მკაცრად უნდა გაიწეროს, შემდეგ კი გაკონტროლდეს საპროცესო დოკუმენტების სავალდებულო სტანდარტები და რეკვიზიტები, რომელთა დარღვევაც იქონიებს საქმეზე შესაბამის გავლენას.

შემდეგი საკითხი, რომელიც აშკარად გამოიკვეთა, არის კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა. პირველი პრობლემა, რომელიც სსსკ-ის 136-ე მუხლს უკავშირდებოდა, იყო დაცვის მხარისთვის უფლების არქონა, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით აღმოიფხვრა. ამ ეტაპზე კი სასამართლო პრაქტიკიდან იკვეთება ბრალდების მხარის მიერ, ერთი მხრივ, ნორმის არასწორად გაგების/განმარტების პრობლემა, ხოლო, მეორე მხრივ, მახინჯი პრაქტიკის დამკვიდრება და სამართლებრივი რეგულაციებისთვის გვერდის ავლა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიდგომა ერთგვროვანია და მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი გზით არის შესაძლებელი. შესაბამისად, უნდა ვიმედოვნოთ, რომ დროის გარკვეულ პერიოდში ბრალდების მხარე ბოლომდე გაიაზრებს განსახილველი საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობას, რასაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მათთვის კვალიფიციური ტრენინგების ჩატარება.

მესამე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მტკიცებულებათა გაცვლას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის ამოქმედების დღიდანვე მკაცრად რეგლამენტირებულია მტკიცებულებათა გაცვლის 5 დღიანი ვადა, ფაქტია, მხარეები მაინც უშვებენ შეცდომებს და ვადაგადცილებით უცვლიან ინფორმაციას ერთმანეთს, მაშინ, როდესაც საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად,, ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით.

შესაბამისად, „არა უგვიანეს 5 დღისა“ ნიშნავს, რომ მხარეს უნდა ჰქონდეს სრული 5 დღე, რათა გაეცნოს მტკიცებულებებს. ვადის გამოთვლასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიდგომა გახდა აშკარად ერთგვაროვანი და სასამართლოს მხრიდან ვადების მკაცრი კონტროლი არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესის დაცვას.

თუმცა, გაცვლის წესის ფარგლებში პრობლემად რჩება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლებ ვადაში ან წინასასამართლო სხდომის შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებების გაცვლის საკითხი, რაც ჩემი აზრით საჭიროებს რეგულაციას და შესაბამის ცვლილებებს სსსკ-ში, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა ამასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია - მოსამართლეთა ნაწილი ითხოვს დაუყოვნებლივ გაცვლას და ეს ტერმინიც შეფასებითია, ნაწილი კი მომდევნო სასამართლო სხდომამდე მხარისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ნაწილსაც კი მიაჩნია, რომ მომპოვებელ მხარეს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობა გაცვლის ვალდებულება, რაც სასამართლო მას დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, მხარეთა თანასწორობისა და მართლმსაჯულების მიზნებისთვის საჭიროა ამ ნაწილში მტკიცებულებათა გაცვლის წესის გაწერა.

მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიკვეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა შეფასდეს მტკიცებულების რელევანტურობა. ჩემი აზრით, აღნიშნულთან მიმართებით სასამართლო არ უნდა იყოს გულგრილი. რა თქმა უნდა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ვერ შევა მტკიცებულებათა შინაარსობრივ განხილვაში, თუმცა მას უნდა შეეძლოს შეუსაბამო, ისეთი ინფორმაციის/დოკუმენტების საქმიდან ამორიცხვა, რომელიც აშკარად არანაირ კავშირში არის არის საქმესთან და ვერ მოახდენს საქმეზე რამენაირ გავლენას.

და ბოლოს, მტკიცებულებათა დაუშვებლობის ნაწილში მოსამართლის კომპეტენცია. ჯერ კიდევ აკადემიური ნაწილის მიმოხილვისას გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა მოსამართლის უფლება-მოვალეობასთან დაკავშირებით, რაც შემდგომ სასამართლო განჩინებების ანალიზმაც ცხადყო. საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, სისხლის სამართლის პროცესი აგებულია შეჯიბრებით სისტემაზე და მხარეთა თანასწორობას ექცევა უდიდესი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, სასამართლოს ჩარევა შესაძლოა გამართლებულიც იყოს, რათა არ დაუშვას კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე

საქმის განხილვა, როცა საბოლოო განაჩენი სწორედ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსამართლის ასეთი ქმედება განაპირობებს მხარეთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას და ხელს შეუწყობს მხარეთა მოდუნებას, ნაკლებად მოემზადონ საქმისწარმოებისთვის და ჰქონდეთ კომპეტენტური მოსამართლის იმედი, რაც დაშლის დღეს არსებულ შეჯიბრებით სისტემას. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ზემოთ განხილული ერთ-ერთი განჩინების ავტორი მოსამართლის პოზიცია სრულიად გასაზიარებელია და მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს უფლება გადააჭარბოს თავის უფლებამოსილებას და დაუშვებლად ცნოს ისეთი მტკიცებულებები, რომელთა დაუშვებლად ცნობაც არ მოუთხოვია ოპონენტ მხარეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ შევაჯამო, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, პირველ რიგში, აღმოიფხვრას საკანონმდებლო ხარვეზები, ნორმები გახდეს უფრო აშკარა და არ იყოს ბუნდოვანი. ასევე, მიმაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარებას ხელს შეუწყობს იურიდიული ლიტერატურის, აკადემიური კომენტარების, რეგულარული კვლევებისა და მონიტორინგის არსებობა, რომლითაც შესაძლებელი გახდება პრობლემების დროული იდენტიფიცირება და მათი მოგვარების გზების დასახვა.

გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა:

- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ.გახოკიძის, მ.მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013.
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“ რედაქტორობით, 2015.
- ◆ თუმანიშვილი. გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2014.
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი; ჯ.გახოკიძის, მ.მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ. 2012.
- ◆ სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“ რედაქტორობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2012.
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები; ზ.მეიშვილი, ო.ჯორბენაძე, თბ. 2007.
- ◆ ჩხეიძე ი., „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2010.

სტატიები/ჟურნალები/გამოცემები:

- ◆ ბენიძე, დ., „შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, სამეცნიერო შრომების კრებული 2010, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნაშრომი ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0---0---0prompt-10--..-4-----0-01--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.4>)
- ◆ ჩაკვეტაძე. გ., „მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (დამოუკიდებელი არბიტრი თუ სამართლიანი მსაჯული)“; ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“ N1(2); თბ. 2014.
- ◆ ქისტაური ქ., ინკვიზიციიდან შეჯიბრებითობამდე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(33)12.

- ◆ ბურჯანაძე გ., „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012.
- ◆ სამართლის ჟურნალი N2, 2014; უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვლევები/ანგარიშები

- ◆ „მხარეთა შეჯიბრებითობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერება მტკიცებულებათა მოპოვების, წარდგენისა და გამოკვლევის პროცესში“, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, თბ. 2018.
- ◆ „მტკიცებულებების წესები სისხლის სამართლის პროცესში“, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი 2016 წ.
- ◆ „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, თბ. 2015.
- ◆ ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასსამბლეა, „საქართველოს პატივისცემა ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების მიმართ“, დოკ. 12554, 28 მარტი, 2011 წ.
- ◆ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011 წ.
- ◆ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014 წ.
- ◆ ეუთო - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში-საქართველო, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014 წ.
- ◆ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“, ივნისი, 2013 წ.
- ◆ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“, 2015 წელი.

- ◆ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2010 წ.
- ◆ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2013 წ.
- ◆ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2014 წელი.
- ◆ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2016 წელი.
- ◆ „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2017 წელი.

საკანონმდებლო აქტები:

- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 09.10.2009 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>;
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 20.02.1998 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882?publication=0>;
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ; დოკ. ნომერი: 741-III; გამოქვეყნების თარიღი: 27/06/2013. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1956658#DOCUMENT:1>;
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 09.10.2009 წელი, 08.07.2015 წლის მდგომარეობით; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=58>;
- ◆ საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”, მიღებულია 19.02.2015, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2742406#DOCUMENT:1>;

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- ◆ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე “Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom“, საჩივრები: N26766/05 და N22228/06 და გადაწყვეტილება საქმეზე „Horncastle and Others v. The United Kingdom“ საჩივარი: N4184/10
- ◆ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548, გვ.20, §52.
- ◆ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმე № 1/1/650,699; ბათუმი, 2017 წლის 27 იანვარი.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/1339-16, 09 აგვისტო, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1გ-1566-16, 10 ოქტომბერი, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/273-17, 27 თებერვალი, 2017 წ.
- ◆ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-157, 05 აპრილი, 2017 წ.
- ◆ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე N2კ-652აპ.-15, 10.05.2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1გ-1566-16, 10 ოქტომბერი, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/337-17, 09 მარტი, 2017 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/1614-16წ.; 20 ოქტომბერი, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/407; 22 მარტი, 2017 წ
- ◆ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-6, 08 იანვარი, 2017 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/548-16, 30 მარტი, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/272-16, 24 თებერვალი, 2016 წ.
- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/730-16, 22 აპრილი, 2016 წ.
- ◆ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-145, 25 მარტი, 2017 წ.
- ◆ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1/გ-258, 01 ივნისი, 2017 წ.

- ◆ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N1გ/1614-16წ.; 20
ოქტომბერი, 2016 წ.